

**მენსტრუაციის სტიგმისა
და მასთან დაკავშირებული
უფლებადარღვევების კვლევა
საქართველოს საჯარო
სკოლებში**

სარჩევი

აბრევიატურები და განმარტებები	1
შესავალი	3
კვლევის მიზანი და ამოცანები	4
საკვლევი საკითხი	5
საქართველოში არსებული სიტუაცია	7
კვლევის მეთოდოლოგია	9
კვლევის შედეგები	9
მენსტრუაციასთან დაკავშირებულისტიგმა	10
<i>სტიგმის არსებობა და მისი გავლენა გოგოების სოციალური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტზე.....</i>	<i>10</i>
<i>მენსტრუაციასთან დაკავშირებული სტიგმის გავლენა ინფორმაციის მიღებაზე</i>	<i>13</i>
<i>მენსტრუაციის გავლენა განათლების უფლების განხორციელებაზე</i>	<i>14</i>
<i>მენსტრუაციასთან დაკავშირებული სტიგმის გავლენა განათლების უფლების განხორციელებაზე</i>	<i>16</i>
<i>სკოლაში არსებული გარემოს გავლენა გოგოების განათლების უფლების განხორციელებაზე</i>	<i>21</i>
<i>მენსტრუაციასთან დაკავშირებული სტიგმის გავლენა გოგოების ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე</i>	<i>22</i>
ინფორმირებულობა	24
<i>ინფორმაცია მენსტრუაციის შესახებ (ფიზიოლოგიური პროცესი)</i>	<i>24</i>
<i>მენსტრუაციის ე.წ. საყურადღებო ნიშნები</i>	<i>25</i>
<i>ინფორმაცია მენსტრუაციის ჰიგიენის შესახებ</i>	<i>27</i>
<i>ინფორმაციის წყარო და კმაყოფილება</i>	<i>29</i>
<i>ინფორმაციის მიღების ბარიერები</i>	<i>33</i>
მენსტრუაციული ჰიგიენის მართვა	35
<i>მენსტრუაციულ პროდუქტებზე წვდომა და ბარიერები (გეოგრაფიული, ფინანსური, კულტურული).....</i>	<i>35</i>
<i>სკოლაში არსებული გარემოს გავლენა მენსტრუაციული ჰიგიენის მართვაზე</i>	<i>36</i>
დასკვნა	39
რეკომენდაციები	42
ბიბლიოგრაფია	45

აბრევიატურები და განმარტებები

ამენორეა - მენსტრუაციის არქონა, ან შეწყვეტა - ერთი, ან რამდენიმე მენსტრუაციის გამოტოვება.

ინტერნალიზებული სტიგმა - სტიგმა საკუთარი თავის მიმართ, ე.წ. შინაგანი სტიგმა, რომელიც მომდინარეობს საზოგადოების მასტიგმატიზებული და მადისკრიმინირებული დამოკიდებულებიდან. გამოიხატება თვითიზოლაციაში, დაბალ თვითშეფასებასა და ხშირად, საკუთარი თავის მიმართ ზიზღში.

იუნესკო - გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია.

მენსტრუაციასთან დაკავშირებული სტიგმა - მენსტრუაციასთან დაკავშირებული მცდარი რწმენა, რომ მენსტრუაცია, მენსტრუაციული სისხლი, მენსტრუაციის მქონე ადამიანი არის ბინძური/არაჰიგიენური.

ოვულაცია - ქალის საკვერცხიდან მომწიფებული კვერცხუჯრედის გამოთავისუფლება, რომელიც მზად არის განაყოფიერებისთვის.

პუბერტატი - მოზარდობის ასაკი, რომელიც ადამიანის დაჩქარებული ზრდით და განვითარებით ხასიათდება. მიმდინარეობს ბავშვობის შემდეგ ზრდასრულობის მიღწევამდე, 8-14 წლის ასაკში იწყება და დაახლოებით 19 წლამდე გრძელდება.

სრჯუ - სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლება.

ჯანმო - ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია.

წინასიტყვაობა

ანგარიში მომზადებულია ორგანიზაციის, „ქალთა ფონდი საქართველოში“, დაფინანსებული კვლევითი პროექტის, „მენსტრუაციის სტიგმისა და მასთან დაკავშირებული უფლებადარღვევების კვლევა საქართველოს საჯარო სკოლებში“, ფარგლებში. კვლევითი პროექტი განხორციელა არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდები მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის“-მა. პროექტის მიზანი იყო სკოლებში მენსტრუაციის შესახებ ცოდნის, მის გარშემო არსებული სტიგმის, სკოლის ინფრასტრუქტურის მდგომარეობისა და მათი გავლენის კვლევა გოგოების სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და განათლების უფლების განხორციელებაზე.

კვლევის ავტორები:

ესმა იმერლიშვილი

ელენე ქაიხოსროშვილი



YOUTH FOR
PUBLIC HEALTH

ახალგაზრდები მოსახლეობის
ჯანმრთელობისთვის



ქალთა ფონდი საქართველოში
WOMEN'S FUND IN GEORGIA

შესავალი

მენსტრუაციასთან დაკავშირებული სტიგმა და მისგან მომდინარე სხვადასხვა სახის დისკრიმინაციული და მავნე პრაქტიკები, გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რომელიც, სხვადასხვა გამოვლინებით, თანამედროვე მსოფლიოს ყველა საზოგადოებას ახასიათებს. ეს ყველაფერი სერიოზულ ზიანს აყენებს მენსტრუაციის მქონე ადამიანებს, განსაკუთრებით კი, პუბერტატულ ასაკში მყოფ გოგოებს. მენსტრუაციასთან დაკავშირებული სტიგმა, ხშირად ინტერნალიზებულია, საზოგადოებებში თაობიდან თაობებს გადაეცემა და უარყოფითად აისახება ადამიანების ჯანმრთელობაზე, კეთილდღეობასა და მათ თვითშეფასებაზე.¹ მენსტრუაციის შესახებ ინფორმაციასა და ჰიგიენურ პროდუქტებზე წვდომის ბარიერები, ასევე, მენსტრუაციული ჰიგიენის მართვასთან დაკავშირებული პრობლემები, თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რომელიც განსაკუთრებული სიმწვავეთ დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებში ვლინდება.

ზოგ საზოგადოებაში, დღემდე შემორჩენილია სხვადასხვა სახის დისკრიმინაციული, ტრადიციული პრაქტიკები, რომლებიც მენსტრუაციის დღეებში ქალების განცალკევებას, მათ სახლიდან, ოჯახის წევრებისგან იზოლაციას და ღამის, სახლის მიმდებარე ტეროტორიაზე გატარებას მოიაზრებს.² ამგვარი პრაქტიკა იწვევს ქალების ჯანმრთელობის დაზიანებას, ზოგ შემთხვევაში, მათ სიკვდილსაც, და მათ სხვადასხვა ამკრძალავი რეგულაციებითაც კი ებრძვიან.³

სტიგმის გამოვლინების ფორმები და მისი სიძლიერე, ცხადია, განსხვავდება სხვადასხვა საზოგადოებაში, თუმცა, მისი საფუძველი, კერძოდ, რწმენა იმისა, რომ მენსტრუაცია, მენსტრუაციული სისხლი და, შესაბამისად, მენსტრუაციის მქონე ადამიანი „ბინძური“ ან/და „უწმინდურია“, საერთოა.

არაერთი კვლევა, გამოქვეყნებული დოკუმენტი, ანგარიში, თუ სტატია ამბობს, რომ დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებში მაღალია იმ გოგოების რიცხვი, რომელთაც მენსტრუაციასთან დაკავშირებული ცოდნის მნიშვნელოვანი დეფიციტი აქვთ, რაც მენარქესთან ასოცირებულ შიშებს იწვევს. ერთ-ერთი ასეთი კვლევის თანახმად, ირანში, ინდოეთსა და ავღანეთში მცხოვრები მენსტრუაციის მქონე გოგოების - 48%, 10% და 7% ფიქრობს, რომ მენსტრუაცია დაავადებაა, ხოლო ავღანეთსა და მალავიში მცხოვრები გოგოების 51% და 82%-ს, (შესაბამისად)

¹ Ingrid Johnston-Rodledo, Joan C. Chrisler, *The Menstrual Mark, Menstruation as Social Stigma*, წყარო მისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://bit.ly/3nNtLDM> წყარო ბოლოს ნანახია: 24.12.2020.

² ინფორმაცია მისაწვდომია: <https://bit.ly/3gEa0Mq> წყარო ბოლოს ნანახია: 12.12.2020.

³ იქვე.

მენარქემდე, მენსტრუაციის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ გააჩნია (WaterAid 2012). იმ ქვეყნებში, სადაც მენსტრუაციასთან დაკავშირებული ცოდნის შემუშავების და გავრცელების სისტემური მიდგომები არ არსებობს, გოგოები ცოდნას მშობლებისგან, ოჯახის სხვა წევრებისა და თანატოლებისგან იღებენ, და ეს ცოდნა, ხშირად არ არის მოთხოვნის ადეკვატური, სწორი და მტკიცებულებებზე დაფუძნებული. ამ ქვეყნებში, გოგოების დიდ ნაწილს არ შეუძლია მენსტრუაციასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის პრობლემის ამოცნობა (Chandra-Mouli and Patel 2017). აღსანიშნავია ისიც, რომ დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებში, როგორც ქალაქებში, ისე სოფლად, გაძნელებულია მენსტრუაციული ჰიგიენის მართვა, მათ შორის, დაბალია მენსტრუაციის ჰიგიენურ პროდუქტებზე, სუფთა წყალსა და ტუალეტებზე წვდომა, რაც უარყოფითად აისახება სკოლის და სხვა სოციალურ აქტივობებში გოგოების ჩართულობაზე, ასევე მათ ფიზიკურ ჯანმრთელობასა და ფსიქოსოციალურ კეთილდღეობაზე (WHO and UNICEF 2013).

ასეთი კვლევები, დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნების გარდა, მსოფლიოს განვითარებულ ნაწილშიც ხშირად ტარდება. მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ ქვეყანაში არსებული სიტუაცია ერთმანეთისგან განსხვავებულია, ყველა კვლევა და, მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციები, ამტკიცებენ, რომ განათლება პუბერტატული პერიოდის შესახებ, ყველა ქვეყანაში მცხოვრები მოზარდის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია (UNESCO 2014). ამასთან დაკავშირებით, შექმნილია სახელმძღვანელოები, რომლებიც მოზარდობის ასაკში მყოფი მოსწავლეებისთვის ასაკისა და განვითარების შესაბამისი, საჭიროებაზე მორგებული სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდების პრაქტიკულ რეკომენდაციებს იძლევა.

კვლევის მიზანი და ამოცანები

დღემდე, საქართველოში მენსტრუაციასთან დაკავშირებული რაიმე სახის კვლევა არ ჩატარებულა. გამომდინარე იქიდან, რომ სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხები, ქვეყანაში ჯერ კიდევ ტაბუდადებულია და ყოვლისმომცველ სექსუალურ განათლებაზე წვდომაც მნიშვნელოვან ბარიერებთან არის დაკავშირებული, სავარაუდოა, რომ სკოლებში არსებობს მენსტრუაციასთან დაკავშირებული სტიგმა, მითები, ცოდნის ნაკლებობა და ამით გამოწვეული ის პრობლემები, რომლებიც ანგარიშის წინა ნაწილში მოკლედ მიმოვიხილეთ. აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ წინამდებარე კვლევის შედეგები მნიშვნელოვან მიმართულებებს გამოკვეთს ქვეყანაში, და საინტერესო იქნება განათლების და სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე მომუშავე სხვადასხვა დაინტერესებული მხარისთვის.

წინამდებარე კვლევის მიზანია, საქართველოს საჯარო სკოლებში შეისწავლოს მენსტრუაციასთან დაკავშირებული ცოდნა, სტიგმა და მენსტრუაციის მართვის პრაქტიკები. ასევე, მათი გავლენა სკოლის მოსწავლე გოგოების სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და განათლების უფლების განხორციელებაზე.

კვლევის ამოცანებია:

- ◆ შეისწავლოს მენსტრუაციის გარშემო არსებული ცოდნა და ამ ცოდნის/ინფორმაციის მიღების წყარო მოსწავლე გოგოებში;
- ◆ შეისწავლოს მენსტრუაციის სტიგმის არსებობა სკოლებში და მისი გავლენა განათლების უფლების განხორციელებაზე;
- ◆ შეისწავლოს სკოლის მოსწავლე გოგოების მისაწვდომობა მენსტრუალურ პროდუქტებზე;
- ◆ შეისწავლოს სკოლის ინფრასტრუქტურის შესაბამისობა მოზარდი გოგოების სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საჭიროებებთან და მისი გავლენა განათლების უფლების განხორციელებაზე.

საკვლევი საკითხი

მენსტრუაციული ციკლი ქალის ორგანიზმში ციკლურად მიმდინარე ბიოლოგიური პროცესების ერთობლიობაა, რომლის ერთი სრული ციკლი, როგორც წესი, 28 დღე გრძელდება, თუმცა მისი ხანგრძლივობა, შესაძლოა, 21-დან 35 დღემდე მერყეობდეს. **მენსტრუაცია** მენსტრუაციული ციკლის ნაწილია. ეს არის პროცესი, რომლის დროსაც სისხლი ქსოვილებთან ერთად საშვილოსნოს ღრუდან გარეთ გამოდის. მენსტრუაციაც ბუნებრივი და ჯანმრთელი პროცესია ყველა რეპროდუქციული ასაკის ქალისა და გოგოსთვის. ის, როგორც წესი, 2-7 დღის განმავლობაში მიმდინარეობს. პირველ მენსტრუაციას ეწოდება **მენარქე**. მენარქეს ასაკიც ინდივიდუალურია, მასზე სხვადასხვა ბიოლოგიური და სოციალური ფაქტორები ახდენს გავლენას და, შესაძლოა, განსხვავდებოდეს სხვადასხვა ქალისთვის. ის შეიძლება დაიწყოს 8-დან 16 წლამდე პერიოდში, მაგრამ ჩვეულებრივ, 12-13 წლის ასაკში ვლინდება. ჰიპოთალამო-ჰიპოფიზ-საკვერცხის სისტემის არასაკმარისი მომწიფების შედეგად, მენსტრუაციის დაწყებიდან პირველი რამდენიმე წლის განმავლობაში, ხშირი ანოვულაციური ციკლის გამო, შესაძლოა, აღინიშნებოდეს გახანგრძლივებული მენსტრუაციული ციკლი (WHO 1986); თუმცა, 90% შემთხვევაში ციკლის ხანგრძლივობა 21-45 დღის განმავლობაში მერყეობს და იშვიათად არის 20 დღეზე ნაკლები, ან 45 დღეზე მეტი ხანგრძლივობის. მენსტრუაციის დაწყებიდან მესამე წელს, მოზარდების 60-80%-ის მენსტრუაციული ციკლი რეგულარული ხდება და ზრდასრულთა ციკლის მახასიათებლებს ემსგავსება (21-34 დღე). (Hickey and Balen 2003) მენსტრუაცია

(მენარქე), როგორც წესი, სარძევე ჯირკვლების ზრდის დაწყებიდან, 2-3 წლის ფარლებში იწყება და 15 წლის ასაკისთვის, გოგოების დაახლოებით 98%-ს აქვს (FM, et al. 2006). პირველადი ამენორეა, შეიძლება განიხილებოდეს ყველა მოზარდთან, რომელსაც მენარქე არ დაუდგა 15 წლამდე, ან სარძევე ჯირკვლების ზრდის დაწყებიდან 3 წლის განმავლობაში. ამასთან, სარძევე ჯირკვლების ზრდა 13 წლის ასაკამდე უნდა იქნას შეფასებული (Byrd, McDonough and Reindollar 1981).

აღსანიშნავია, რომ გარკვეული გარემო ფაქტორები, ისეთი, როგორცაა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, კვების სტატუსი და ჯანდაცვის პრევენციულ სერვისებზე წვდომა, შესაძლოა, ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ცვლილებებზე აისახოს - დააჩქაროს, შეანელოს, ან სხვაგვარად შეცვალოს მოზარდების პუბერტატული პერიოდი. ამიტომ, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რიგი პრობლემების დროული და სათანადო მეთვალყურეობისა და შესაბამისი რეაგირების მიზნით, მნიშვნელოვანია მენსტრუაციისა და მასთან ასოცირებული გარკვეული ნიშნებისა და სიმპტომების შესახებ ინფორმაციის ფლობა.

მეანთა და გინეკოლოგთა ამერიკული კოლეჯი (ACOG) 2015 წელს გამოცემულ სტატიაში, „მენსტრუაცია გოგოებსა და მოზარდებში: მენსტრუაციული ციკლის, როგორც სასიცოცხლო ნიშნის შეფასება“, ყურადღებას ამახვილებს მენსტრუაციის დარღვევის ნიშნებსა და ამით გამოწვეულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ მთელ რიგ პრობლემებზე, რომელთა დროული გამოვლენა და მკურნალობა აუცილებელია ჯანმრთელობის მოკლე და გრძელვადიანი გამოსავლების გასაუმჯობესებლად. კერძოდ, სტატიაში ნათქვამია, რომ მენსტრუაციული ციკლის ნებისმიერი ტიპის ცვლილება, დაკავშირებული, ციკლის რეგულარობასთან, სისხლდენის ინსტენსივობასთან, მისი დაწყების თარიღთან, სხვა თანმხლებ სიმპტომებთან, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს ჯანმრთელობის სხვადასხვა სერიოზულ პრობლემასთან და მნიშვნელოვანია, მათი ამოცნობა შეეძლოს, როგორც გოგოებს, ისე მათ მშობლებს და ჯანდაცვის პროფესიონალებს. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, რომლებიც მოზარდებში მენსტრუაციული ციკლის ცვლილებას უკავშირდება, შეიძლება იყოს: სხვადასხვა ტიპის ენდოკრინული პათოლოგიები, ანემია, სისხლის შედედების სისტემასთან დაკავშირებული პრობლემები, გარკვეული მედიკამენტების მიღება, სექსუალური გზით გადამდები ინფექციები, ორსულობა, ავთვისებიანი სიმსივნეები, საშვილოსნოს დაზიანება და სხვ. (The American College of Obstetrics and Gynecologists 2015). როგორც აღნიშნული ჩამონათვალიდანაც ჩანს, მენსტრუაციული ციკლის სხვადასხვა ტიპის დარღვევასთან ასოცირებული მიზეზშედეგობრივი კავშირები საკმაოდ ვრცელი და სერიოზულია, და შემდგომი გართულებების თავიდან აცილების მიზნით, ნამდვილად საჭიროებს დროულ

გამოვლენას და სათანადო რეაქციას. ამისთვის კი, სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებთან ერთად, აუცილებელია გოგოებისა და მშობლების ინფორმირება და ამ საკითხების ირგვლივ მათი ცოდნის გაღრმავება.

მენსტრუაციული ჰიგიენის მართვის (მჰმ) განსხვავებული პრაქტიკები არსებობს სხვადასხვა ქვეყნებსა, თუ საზოგადოებებში; მასზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს განათლება, ასევე ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ფაქტორები (Aniebue, Anie and Nwankwo 2009). მენსტრუაციული ჰიგიენის პრაქტიკა განსხვავებულია გამოყენებული ჰიგიენური პროდუქტისა და მისი შეცვლის სიხშირის მიხედვით; ასევე უკავშირდება ტანის დაბანას, დაბანის მეთოდებს, მრავალჯერადი ჰიგიენური საშუალებების რეცხვის, გაშრობისა და შენახვის წესებს, ასევე იმ გარემოს, სადაც ამგვარი პრაქტიკის განხორციელება უწყვეტ ადამიანებს (მაგ., სველი წერტილები). აღსანიშნავია, რომ ყველა ეს გარემო და რესურსი მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვადასხვა ქვეყნისთვის და, მათ შორის, ქვეყნის შიგნითაც. მენსტრუაციული ჰიგიენის პრაქტიკა ხშირად ხორციელდება არაჰიგიენურ და არაკომფორტულ გარემოში, რაც ასოცირებულია რეპროდუქციული სისტემის სხვადასხვა ტიპის ინფექციების მომატებულ რისკთან და ფსიქოსოციალურ სტრესთან. გარდა ამისა, კვლევები აჩვენებს, რომ ის უარყოფითად აისახება მოზარდების სასკოლო მოსწრებაზე, იწვევს მათ იზოლაციასა და გარიყვას (Hennegan, et al. 2016).

საქართველოში არსებული სიტუაცია

ადამიანის სექსუალობისა და რეპროდუქციის შესახებ ყოვლისმომცველი განათლება ერთ-ერთი ყველაზე უფრო უგულვებელყოფილი და პრობლემური საკითხია საქართველოში. მის გარშემო არსებული ნეგატიური განწყობები და დამოკიდებულებები, განათლების როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ სისტემაში, სრჯუ საკითხების ინტეგრაციის დამაბრკოლებელ ფაქტორებს წარმოადგენს. დღეისათვის, საქართველოში არ არსებობს ფორმალური განათლება სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ და შესაბამისად, მოზარდების და ზოგადად საზოგადოების ცოდნა ამ მიმართულებით დაბალია. ოფიციალურად, სასკოლო საგნებიდან, მხოლოდ ბიოლოგიისა და სამოქალაქო განათლების სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების გარკვეული საკითხების სწავლებას, თუმცა ეს საკითხებიც ძალიან ფრაგმენტულად არის წარმოდგენილი სხვადასხვა თემაში და მოსწავლისთვის ცოდნის სრულყოფილად გადაცემის შესაძლებლობას არ იძლევა.

კვლევის ფარგლებში, გაანალიზდა ეროვნული სასწავლო გეგმები და ის სახელმძღვანელოები, რომლებიც საკვლევ თემასთან დაკავშირებულ საკითხებს ფარავს. აღსანიშნავია, რომ დამტკიცებულია ახალი 2018-2020 წლების დაწყებითი

და საბაზო საფეხურის სასწავლო გეგმები,⁴ რომლის თანახმადაც, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხები ბიოლოგიის, სამოქალაქო განათლების, მე და საზოგადოებისა და მოქალაქეობის საგნებშია ნაწილობრივ ინტეგრირებული. ამასთან, მენსტრუაციის საკითხი, სტანდარტით ბიოლოგიის მე-8 კლასის პროგრამაშია გათვალისწინებული; კერძოდ კი, რეპროდუქციული სისტემის ორგანოების თავში. შესაბამისად, მენსტრუაციის შესახებ ბიოლოგიის სახელმძღვანელოში არსებული ინფორმაციის სანახავად, შემოწმდა სკოლის ის სახელმძღვანელოები, რომლებიც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურ ელექტრონულ გვერდზე სასკოლო სახელმძღვანელოების ჩამონათვალშია.⁵ ამ ჩამონათვალის თანახმად, არსებობს ორი სხვადასხვა გამომცემლის მიერ გამოშვებული სასკოლო სახელმძღვანელო ბიოლოგიაში: (1) შ.პ.ს. „საგამომცემლო სახლი ტრიასი“; თანაავტორები: ელნარ (ნანა) ზაალიშვილი, თამარ (ნანა) იოსებაშვილი (2012 წელი)⁶ და (2) შ.პ.ს. „გამომცემლობა მერიდიანი“ და შ.პ.ს. „გამომცემლობა კლიო“; თანაავტორები: რუსუდან ახვლედიანი, მალხაზ მაცაშვილი, მზია სულამანიძე, მარინე სეხნიაშვილი, მარინა ჯალიაშვილი (2020).⁷ აღსანიშნავია, რომ პროგრამაში გათვალისწინების მიუხედავად, ინფორმაციას რეპროდუქციული სისტემის ორგანოებისა და მენსტრუაციის შესახებ, მხოლოდ პირველ წიგნში ვხვდებით. ბიოლოგიის სახელმძღვანელოში მენსტრუაციის შესახებ მითითებული ინფორმაცია მხოლოდ მისი ფიზიოლოგიის ნაწილს ფარავს, თუმცა მეტად მწირია და მინიმალურ ინფორმაციასაც კი არ მოიცავს სრულყოფილად. მაგალითად, არაფერი წერია მენსტრუაციული გამონადენის ხანგრძლივობაზე, თანმდევი ნიშნებზე; ასევე, არაფერია ნათქვამი მენსტრუაციული ციკლის ხანგრძლივობის ნორმის ფარგლებში ვარიანტების კონკრეტულ ვადებზე. ტექსტში რამდენიმე ფაქტობრივი შეცდომაა დაშვებული და ისეთი სიტყვებია გამოყენებული, რომელიც საზოგადოებაში არსებული სტიგმის და მითების გამყარებას უწყობს ხელს. მაგალითად, ნათქვამია, რომ საკვერცხე საშვილოსნოს ღრუში გადმოდის და

⁴ განახლებული წლიური პროგრამა და სტანდარტი თითოეული საგნისთვის, მისაწვდომია ეროვნული სასწავლო გეგმების პორტალზე: <http://ncp.ge/curriculum/satesto-seqtsia/akhali-sastsavlo-gegmebi-2018-2024/sabazo-safekhuri-vi-ix-klasebi-proeqti-sadjaro-gankhilstvis>. [ბოლო ნახვა 12.12.2020].

⁵ ჩამონათვალი მისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ ბმულზე: http://www.mes.gov.ge/content.php?id=4839&lang=geo&fbclid=IwAR3bjXGPZovg9Vsb7lPflEAI2QQD7gbrIHIGI_ymH_MNRtKqDOzJOYrHy6I. [ბოლო ნახვა: 12.12.2020].

⁶ სახელმძღვანელო ელექტრონულად მისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://triasi.ge/photos/%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98%E1%83%908.pdf>. [ბოლო ნახვა: 12.12.2020].

⁷ სახელმძღვანელო ელექტრონულად მისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://issuu.com/kliopublishing/docs/8_2020_3?fbclid=IwAR06VzSdqYhRP7agzPYqaN1KfnIQHHoquxkHM3y1RQRqmwg4rU2gm0IYjM. [ბოლო ნახვა: 12.12.2020].

მენსტრუაციასთან ერთად გარეთ გამოიდევნება. გარდა ამისა, „რამდენიმე დღის მანძილზე საშვილოსნო იწმინდება იმისთვის, რომ ჩამოყალიბდეს ახალი შრეები შემდეგი კვერცხუჯრედის მისაღებად“, ნათქვამია სახელმძღვანელოში. ამ სახით გადმოცემული ინფორმაცია არასრულია, არასწორი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა, ამასთანავე, საზოგადოებაში მენსტრუაციული სისხლის სიბინძურესთან ასოცირებული მითებისა და სტიგმის გამყარებას უწყობს ხელს.

კვლევის მეთოდოლოგია

საკვლევი საკითხის შესასწავლად გამოვიყენეთ კვლევის თვისებრივი მეთოდი. კვლევის ინსტრუმენტებად - წინასწარ შედგენილი ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარის გზა კვლევაში მონაწილე სკოლის მოსწავლე გოგოებისა და პედაგოგებისთვის; ასევე, სკოლის მოსწავლეებთან ფოკუს ჯგუფის ჩასატარებლად, შემუშავდა ფოკუს ჯგუფის სადისკუსიო გეგმა.

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ კვლევის სამიზნე გეოგრაფიულ ტერიტორიაზე მცხოვრები: (1) საქართველოს საჯარო სკოლის მოსწავლე გოგოები 14 წლის ასაკიდან და (2) საჯარო სკოლის პედაგოგები.

კვლევის ფარგლებში, მონაწილეთა შესარჩევად გამოვიყენეთ მონაწილეთა შერჩევის ორი პრინციპი: (1) მიზნობრივი შერჩევა და (2) შერჩევა ე.წ. თოვლის გუნდის პრინციპით.

კვლევის სავლე სამუშაოები ჩატარდა 2020 წლის მარტი-ოქტომბრის შუალედში. ინტერვიუების და ფოკუს ჯგუფის დისკუსიების დროს გამოვიყენეთ ხმის ჩამწერი. კვლევის ოპერაციული ნაწილის დასრულების შემდეგ, მკვლევრებმა მოამზადეს აუდიოჩანაწერების ტრანსკრიპტები და გააანალიზეს ისინი. აღსანიშნავია, რომ კვლევის თითოეულ მონაწილეს, კვლევის დაწყებამდე განემარტა კვლევის წესები და მათი უფლებები. კვლევის ყველა მონაწილისგან, არასრულწლოვნების შემთხვევაში - კვლევის რესპონდენტების მშობლებისგან, მივიღეთ წერილობითი ინფორმირებული თანხმობა.

აღსანიშნავია, რომ კვლევის სავლე სამუშაოების ეტაპის დაწყებამდე, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან არსებული ბიოეთიკის საბჭო გაეცნო კვლევის მეთოდოლოგიასა და მასთან დაკავშირებულ ყველა დოკუმენტს (კვლევის კითხვარებს, ინტერვიუების პროტოკოლებს, ინფორმირებული თანხმობის ფორმებს) და გასცა შესაბამისი ნებართვა წინამდებარე კვლევის სავლე სამუშაოების ჩასატარებლად.

კვლევის შედეგები

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 14-დან 18 წლამდე ასაკის საჯარო სკოლის ოცდაცხრამეტმა მოსწავლემ თბილისიდან, თელავიდან, ბათუმიდან და ამ

ქალაქების ახლომდებარე სოფლებიდან. ამათგან ოცდარვა რესპონდენტი გახლდათ ფოკუს ჯგუფების (ჯამში 6 ფოკუს ჯგუფი), ხოლო დარჩენილი თერთმეტი გოგო - ჩაღრმავებული ინტერვიუს რესპონდენტი. აღსანიშნავია, რომ კვლევის დასაწყისში დაგეგმილი იყო შვიდი ფოკუს ჯგუფის ჩატარება და ცხრა სკოლის მოსწავლის გამოკითხვა, თუმცა პანდემიის დროს დაწესებული შეზღუდვების გამო, თბილისში დაგეგმილი ორი ფოკუს ჯგუფიდან ერთის ჩატარება ვერ მოხერხდა და დამატებით სკოლის ორ მოსწავლესთან ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუ.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო საჯარო სკოლის ცხრა მასწავლებელმა თბილისიდან, თელავიდან, ბათუმიდან და ამ ქალაქების ახლომდებარე სოფლებიდან. გამოკითხული მასწავლებლების ასაკი 26-დან 56 წლამდე მერყეობდა, ხოლო სამუშაო გამოცდილება - 3-დან 32 წლამდე. გამოკითხული მასწავლებლებიდან ხუთი სამოქალაქო განათლების პედაგოგი იყო, ორი - ქართული ენისა და ლიტერატურის, ხოლო თითო-თითო - ბიოლოგიისა და მათემატიკის. აღსანიშნავია, რომ გამოკითხული მასწავლებლებიდან ხუთს წარსულში, ან კვლევის ჩატარების მომენტისთვის ჰყავდა სადამრიგებლო კლასი.

მენსტრუაციასთან დაკავშირებული სტიგმა

სტიგმის არსებობა და მისი გავლენა გოგოების სოციალური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტზე

კვლევამ ცხადყო, რომ მოზარდ გოგოებზე საკმაოდ დიდია მენსტრუაციასთან დაკავშირებული სტიგმის გავლენა. რესპონდენტი გოგოების უმრავლესობისთვის, ამ საკითხზე საუბარი, დისკუსიაში მონაწილეობის მიღება უხერხულობის განცდასთან იყო დაკავშირებული. ინტერვიუერის მხრიდან, ძალისხმევას მოითხოვდა რესპონდენტი გოგოების გახსნა ინტერვიუების პროცესში.

კითხვაზე, „რა არის მენსტრუაცია, რა ფიზიოლოგიური პროცესები მიმდინარეობს ამ დროს ორგანიზმში“, კვლევის რესპონდენტი გოგოები ხშირად პასუხობდნენ, რომ ეს პროცესი დაკავშირებული იყო „სხეულის გაწმენდასთან“, აღნიშნავდნენ, რომ ამ დროს, სხეულიდან გამოიყოფა „სხვადასხვა მავნე ნივთიერებები“, „ტოქსინები“ (მომწამვლელი ნივთიერებები), „ბაქტერიები“.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ, არ გამოვლენილა რაიმე სახის მნიშვნელოვანი განსხვავება ქალაქებსა და ამ ქალაქების მიმდებარე სოფლებში არსებული ვითარების მხრივ. მენსტრუაციის აღწერის დროს, სტიგმის შემცველ ფორმულირებებს იყენებდნენ როგორც ქალაქში, ისე სოფლად მცხოვრები რესპონდენტები, მათ შორის, მოსწავლეებიც და მასწავლებლებიც.

კვლევის რესპონდენტები მენსტრუაციასთან დაკავშირებული სტიგმის რაობაზე შეკითხვაზე პასუხის გაცემისას, იხსენებდნენ მენსტრუაციასთან დაკავშირებით

განცდილ სირცხვილის გრძნობას და შემთხვევებს, როდესაც ისინი ან მათი ნაცნობი თანატოლები, მენსტრუაციის გამო, დაცინვის, ბულინგისა და გარიყვის მსხვერპლები გამხდარან.

კვლევის რამდენიმე მონაწილის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მათ გამოცდილებაში ხშირად ყოფილა შემთხვევები, როდესაც თანატოლები მათ თავს არიდებდნენ მენსტრუაციის დღეებში:

„უთქვამთ, რო ეხლა ამასთან რა დამსვამს. ყოველთვის დისტანციას იჭერენ ხოლმე. მაგის (მენსტრუაციის) გამო ყოველთვის ყველა თავს გარიდებს. დისტანციას იკავენ. გვერდით არ გიჯდებიან, დისტანციურად გექცევიან, გრიყავენ. ძალიან ხშირად ყოფილა. ამ წელსაც მქონია ეგეთი მომენტები რო ვიღაცას თავი აურიდება ჩემთვის. არ დამჯდარა ჩემთან მხოლოდ იმის გამო, რომ მენსტრუაცია მქონდა.“ - მოსწავლე თბილისის ერთ-ერთი საჯარო სკოლიდან.

მენსტრუაციის დროს განსხვავებული ქცევის წესების არსებობაზე საუბრისას გამოიკვეთა, რომ კვლევის რესპონდენტების უმრავლესობა ინფორმირებულია წესის შესახებ, რომლის თანახმად, მენსტრუაციის დროს, აკრძალულია წმინდად მოაზრებულ ნივთებთან შეხება. მათი უმრავლესობა არ არის ინფორმირებული, საიდან უნდა მომდინარეობდეს ქცევის ეს წესი, თუმცა მას მენსტრუაციის დღეებში ქალის „უწმინდურობასთან“, მენსტრუაციული სისხლის „სიბინძურესთან“ აკავშირებენ. აქვე, აღსანიშნავია, რომ კვლევაში მონაწილე რესპონდენტი გოგოების მხოლოდ მცირე ნაწილმა აღნიშნა, რომ წესის ამგვარი განმარტების სისწორეს არ ეთანხმება.

კვლევის დროს გამოვლინდა მენსტრუაციასთან დაკავშირებული მითი, რომელიც უშუალო კავშირშია მენსტრუაციის სტიგმასთან. რამდენიმე რესპონდენტმა აღნიშნა, რომ მათი ინფორმაციით, მენსტრუაციის დროს, ქალმა არ უნდა მოამზადოს საკვები (აღსანიშნავია, რომ თავად რესპონდენტები არ იზიარებდნენ ამ მითს).

მენსტრუაციასთან დაკავშირებული სირცხვილისა და სირცხვილის შიშის გამო, რესპონდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ისინი დიდ ძალისხმევას ხარჯავენ, „არაფერზე შეეტყოთ“, რომ აქვთ მენსტრუაცია, რაც მათი თქმით, ამ დღეებში სტრესის განმაპირობებელია.

კვლევის რესპონდენტი გოგოების ნაწილმა აღნიშნა, რომ ისინი უფროსებზე (დედებზე, უფროს დებზე) დაკვირვებით „მიხვდნენ“, რომ მენსტრუაცია „უხერხულობასთან“ არის დაკავშირებული და მასზე ხმამაღლა არ უნდა ისაუბრონ.

სირცხვილისა და სირცხვილის შიშის გამო, რესპონდენტი გოგოები აღნიშნავდნენ, რომ მენსტრუაციის დღეებში მათ ეუხერხულებოდათ მენსტრუაციული პროდუქტის (ყველა შემთხვევაში, ჰიგიენური საფენის) ყიდვა, მისი სკოლაში

ტარება იმის შიშით, რომ, შესაძლოა, ვინმეს შეემჩნია; გაკვეთილის დროს დაფასთან გასვლა, რადგან, ემინოდათ, ჰიგიენური საფენი შესამჩნევი არ ყოფილიყო; საპირფარეოში „ხშირად“ გასვლა, რომ ეჭვი არ აღედრათ, რომ მენსტრუაცია ჰქონდათ.

კვლევის რესპონდენტი გოგოების სრული უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ მათთვის უხერხულობის განცდასთან არის დაკავშირებული მენსტრუაციული პროდუქტის დამოუკიდებლად შეძენის პროცესი.

„მაღაზიაში როგორც კი ავიღებ, ეგრევე მიტყდება, მგონია, რო ყველამ იცის, რო ჩემ ფეხებს შორის რაღაც მოდის.“ - თბილისის ერთ-ერთი საჯარო სკოლის მოსწავლე. ფოკუს ჯგუფის მონაწილე

რესპონდენტების თანახმად, განსაკუთრებულ უხერხულობასთან არის დაკავშირებული ეს პროცესი იმ შემთხვევაში, თუ მაღაზიის/აფთიაქის გამყიდველი/კონსულტანტი კაცია და/ან მაღაზიაში კაცები იმყოფებიან. მიღებული ინფორმაციის თანახმად, ეს უხერხულობა, ერთი მხრივ, იმით არის გამოწვეული, რომ მათ გამყიდველი კაცებისგან ან/და პროცესის შემსწრე კაცებისგან წარსულში უგრძნიათ გარკვეული სახის უხერხულობა ან ამგვარი გამოცდილების არქონის მიუხედავად, მოელიან, რომ გამყიდველი კაცები უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებენ.

„გუშინ შევედი აფთიაქში, ავიღე პაკეტი და ვდგავარ რიგში. ვიღაც კაცი შემოვიდა და ხო დამიდგა გვერდით და მერე, აშკარად გადადგა სხვა რიგში (როგორც თავად რესპონდენტი ხსნის პაკეტის დანახვით გამოწვეული უხერხულობის გამო)“ - თბილისის ერთ-ერთი საჯარო სკოლის მოსწავლე. ფოკუს ჯგუფის მონაწილე

*„რას ეძებო (ჰკითხა კაცმა კონსულტანტმა) და მეთქი, პაკეტებს-თქო, უხერხულად გაიღიმა (იცინის) დაიჭმუხნა რაღაცნაირად, არა მკვეთრად, მაგრამ მაინც გაიღიმა, რაღაცნაირად“ - თბილისის ერთ-ერთი საჯარო სკოლის მოსწავლე.
- ჩაღრმავებული ინტერვიუს რესპონდენტი.*

„აფთიაქში მამაკაცები როცა არიან, ჩუმად ვყიდულობ. მამაკაცებთან ვერ ვეუბნები. „დაგელოდებით და მერე ვიტყვი“, ვეუბნები ხოლმე და მერე ხვდებიან.“ - ბათუმის ერთ-ერთი საჯარო სკოლის მოსწავლე. ჩაღრმავებული ინტერვიუს რესპონდენტი.

კვლევის რამდენიმე რესპონდენტმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ თავად არ უქმნით დიდ უხერხულობას მენსტრუაციული პროდუქტის შეძენა, იცნობენ თანატოლ გოგოებს, რომლებიც ისეთ უხერხულობას განიცდიან, რომ ვერასდროს ყიდულობენ ჰიგიენურ პაკეტს დამოუკიდებლად.

კვლევის რესპონდენტი გოგობის უმრავლესობამ საუბრისას აღნიშნა, რომ საჭიროების შემთხვევაში, ისინი ოჯახის კაც წევრებს (მამებს, ხშირ შემთხვევაში, ძმებსაც) ვერ სთხოვენ მათთვის მენსტრუაციული პროდუქტების შეძენას.

„ვეტყოდი, რო ფული მოეცა და ჩემით ვიყიდდი. ესე ვეტყვი, „მჭირდება ქალური პრობლემებითვის“. დედაჩემისგან ალბათ, რაღაცები იცის. არ გვაქ ეგეთი ურთიერთობა მე და მამაჩემს. ძან უხერხულია, ვერ ვეტყვი, რო პაკეტი მინდა“. - ბათუმის ერთ-ერთი საჯარო სკოლის მოსწავლე. ჩაღრმავებული ინტერვიუს რესპონდენტი.

„მე მყავს მეგობარი, რო საუბრობს ხოლმე დაჟე, მამასთანაც და დაჟე, მამამისს აბარებს პაკეტს. იცი, რა მემართება ხოლმე?.. სულ უხერხულად ვარ. აი, რატო უნდა უთხრა მამას ეგეთი რაღაცა?! მე ვფიქრობ, რო არ უნდა უთხრა! არ მიმაჩნია სწორად. ქალის საქმეა. ცოლმა კი, მაგრამ შვილმა არა. მე ხმას ვერ ამოვიღებ მამაჩემთან მაგაზე. დაჟე ერთხელ გავაცდინე სკოლა და რატო აცდენო, მამაჩემი შემეკითხა და სხვაგან მივდივართ-ქოო, ვუთხარი. ვერ ვუთხარი, რო მუცელი მტკიოდა“. - თელავის მიმდებარე სოლის ერთ-ერთი საჯარო სკოლის მოსწავლე. ფოკუს ჯგუფის მონაწილე.

მენსტრუაციასთან დაკავშირებული „შერცხვენის“ (ტანსაცმლის დასვრის, ინფორმაციის გავრცელების, რომ მენსტრუაცია აქვთ) შიში, რესპონდენტების თქმით, ძლიერ სტრესს იწვევს და ამ დროს, თავს არიდებენ სხვადასხვა საჯარო/გასართობ ადგილებს, მაგალითად, დასახელდა საჯარო ტრანსპორტით მგზავრობა (სკამის დასვრის შიშიდან გამომდინარე), დაბადების დღეზე წასვლა.

მენსტრუაციასთან დაკავშირებული სტიგმის გავლენა ინფორმაციის მიღებაზე

მენსტრუაციასთან დაკავშირებული საკითხებისა და გამოცდილებების ერთმანეთში განხილვა, მენსტრუაციაზე ინფორმაციის მიღების კუთხით, მნიშვნელოვანი კომპონენტია. ეს მათ ეხმარებათ, ინფორმაცია მიიღონ სხვადასხვა გამოცდილების, მენსტრუაციული პროდუქტების მრავალფეროვნების, მათი გამოყენების წესების, თითოეული მათგანის უარყოფითი და დადებითი მხარეების, მენსტრუაციული ჰიგიენის დაცვის წესების, მენსტრუაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის სანდო წყაროების შესახებ. ამგვარი ინფორმაციის გაცვლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ პირობებში, როდესაც მოზარდობის ასაკის გოგობებს სხვა საინფორმაციო წყაროებზე ნაკლებად მიუწვდებათ ხელი და ასევე, გამოცდილებისა და შესაბამისი ინფორმაციის არქონის გამო, არ აქვთ გამოუმუშავებული უნარი, დამოუკიდებლად განსაზღვრონ სხვადასხვა საინფორმაციო წყაროს (მაგ., ინტერნეტის წყაროების) სანდოობის ხარისხი.

რესპონდენტი გოგოების უმრავლესობა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, აღნიშნავდა, რომ მენსტრუაციის აღმნიშვნელად, არ იყენებენ სიტყვას, „მენსტრუაცია“, და მის ნაცვლად, მოიხმარენ სხვადასხვა მინიშებით სიტყვებს.⁸

კვლევის რესპონდენტთა მხრიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, მათი უმრავლესობისთვის მენსტრუაციაზე საუბარი, ამ თემაზე რაიმე კითხვის დასმა თავისუფლად მხოლოდ ქალი ოჯახის წევრების გარემოცვაში ან გოგო ახლო მეგობრებთან არის შესაძლებელი. რესპონდენტთა მხოლოდ მცირე ნაწილმა აღნიშნა, რომ მენსტრუაციასთან დაკავშირებული კითხვით სკოლის მასწავლებელსაც მიმართავენ საჭიროების შემთხვევაში.

მათი თქმით, მენსტრუაციასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა მათთვის არ არის „ჩვეულებრივი“ სასაუბრო თემა და მასზე მხოლოდ ვიწრო წრეში და ჩუმად საუბრობენ.

აღნიშნული პრაქტიკით არის განპირობებული ის, რომ გოგოები მენსტრუაციასთან დაკავშირებით ერთმანეთს გამოცდილებას თითქმის არ უზიარებენ, და ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა აქვთ.⁹

მენსტრუაციის გავლენა განათლების უფლების განხორციელებაზე

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კონვენციის თანახმად, „სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა ზომა, რათა შეცვალონ მამაკაცთა და ქალთა ქცევის სოციალური და კულტურული მოდელები ცრურწმენათა აღმოფხვრის და ყველა იმ ჩვეულებისა და პრაქტიკის გაუქმების მიღწევის მიზნით, რომლებიც ერთ-ერთი სქესის არასრულფასოვნების ან უპირატესობის, ანდა მამაკაცებისა და ქალების როლის სტერეოტიპულობის იდეას ეფუძნება“.¹⁰

ადამიანის უფლებების დაცვაზე მომუშავე ორგანიზაციები არაერთ კონტექსტში აღნიშნავენ, რომ ასაკის შესაბამისი სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განათლება (ცხადია, მასში ცალსახად იგულისხმება მენსტრუაციასთან დაკავშირებული საკითხებიც) უნდა იყოს სასკოლო (ფორმალური) განათლების შემადგენელი ნაწილი, რომელიც უნდა

⁸ მაგ. „ის მომივიდა“, „სტუმრები მყავს“, „პერიოდი“, „ციკლი“. მენსტრუაციის აღსანიშნავად, გოგოები ასევე იყენებენ სხვადასხვა შეთანხმებულ სიტყვებსაც (მაგ., ადამიანის რომელიმე სახელს), რათა, საჭიროების შემთხვევაში, თავისუფლად მიანიშნონ ერთმანეთს, რომ საუბრობენ მენსტრუაციაზე.

⁹ მენსტრუაციასთან დაკავშირებული ინფორმირებულობის კუთხით არსებული კვლევის მიგნებებს მოგვიანებით განვიხილავთ.

¹⁰ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია (CEDAW), მუხლი 5.

დაიგეგმოს სასკოლო სწავლების მთელი პერიოდის განმავლობაში.¹¹ სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, უზრუნველყონ, რომ საგანმანათლებლო პროგრამები არ ექვემდებარებოდნენ ცენზურას, არ ავრცელებდნენ მიკერძოებულ, არასწორ ინფორმაციას.¹² ასევე, დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ იმისთვის, რათა სექსუალურ და რეპროდუქციულ საკითხებთან დაკავშირებული განათლება ყოვლისმომცველი იყოს და მიაღწიოს დასახულ მიზნებს, მას უნდა ჰქონდეს გენდერული პერსპექტივა.¹³ ამავე ჩანაწერის თანახმად, სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განათლება უნდა იყოს თავისუფალი წინასწარგანწყობებისა და სტეროტიპებისგან, რაც, შესაძლოა, დისკრიმინაციისა და ძალადობის წინააღმდეგ იქნას გამოყენებული.¹⁴

ზემოაღნიშნული ფორმულირებები მხოლოდ ნაწილია ადამიანის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების იმ ტექსტებისა, რომელთაგან გამომდინარეობს სახელმწიფოს ვალდებულება, უზრუნველყოს, ერთი მხრივ, სამეცნიერო მტკიცებულებებზე დაფუძნებული სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განათლების მიწოდება, ხოლო, მეორე მხრივ, ქალთა მიმართ არსებული სოციალური და კულტურული ცრურწმენები და მავნე სტერეოტიპები აღმოფხვრას. ვინაიდან, სასკოლო განათლების სისტემა სახელმწიფოსთვის ცოდნის სისტემურად გადაცემის ერთადერთი საშუალებაა, სკოლა მნიშვნელოვანი მექანიზმია ზემოაღნიშნული ვალდებულებების ეფექტიანად განხორციელებისათვის.

წინამდებარე კვლევის ერთ-ერთ საკითხს ასევე წარმოადგენდა, თუ რამდენად ხდება სკოლების სველი წერტილების არასათანადო მოწყობა გოგოებისთვის განათლების მისაწვდომობის ბარიერი.

ამ მიმართულებით, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის თანახმად, სასწავლო დაწესებულებებში შესაბამისი სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაუცველობა, სანიტარული მასალის არქონა, ასევე, დაწესებულებაში მხარდამჭერი პერსონალის გაუთვალისწინებლობა და პუბერტატისა და მენსტრუაციის საკითხების შესახებ ინფორმაციის არქონა, ხელს უწყობს გოგოების გარიყვას ამ სასწავლო დაწესებულებიდან, სასკოლო ცხოვრებაში

¹¹ განათლების უფლების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებლის 2010 წლის ანგარიში, დოკუმენტი. /A/65/162 (2010) პარ. 87.

¹² ბავშვთა უფლებების დაცვის კომიტეტის ზოგადი კომენტარი №3, „აივ და ბავშვთა უფლებები“, პარ. 16.

¹³ განათლების უფლების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებლის 2010 წლის ანგარიში, დოკუმენტი. /A/65/162 (2010) პარ. 21.

¹⁴ იქვე. პარ. 63.

მათი ჩართულობის ხარისხის, სწავლაზე ფოკუსისა და სასკოლო დასწრების შემცირებას.¹⁵

მენსტრუაციასთან დაკავშირებული სტიგმის გავლენა განათლების უფლების განხორციელებაზე

როგორც კვლევამ გამოავლინა, მოსწავლეების ინფორმირების თვალსაზრისით, სკოლა არ ასრულებს ცოდნის სისტემურად გადამცემი აქტორის როლს და რიგ შემთხვევებში, მენსტრუაციასთან დაკავშირებული ცოდნის გადამცემის კუთხით სკოლაში არსებული პრაქტიკები სტიგმის მაწარმოებელი/წამახალისებელი გარემოებაც კი ხდება.

წინამდებარე კვლევაში, მენსტრუაციასთან დაკავშირებული სტიგმის გავლენა განათლების უფლების განხორციელებაზე, ორი ასპექტით შეფასდა, კერძოდ, ერთი მხრივ, თუ რამდენად ახორციელებს სკოლა თავის ვალდებულებას, ასაკთან შესაბამისი, მიუკერძოებელი, მტკიცებულებებით გამყარებული განათლება მიაწოდოს მოსწავლეებს და, მეორე მხრივ, ხომ არ ხდება მენსტრუაციასთან დაკავშირებული სტიგმა და მისით განპირობებული მტრული და არასენსიტიური გარემო სკოლაში იმის მიზეზი, რომ გოგოები ხშირად აცდენენ სკოლას. სწორედ ამ საკითხს განვიხილავთ კვლევის ანგარიშის ამ ნაწილში. მენსტრუაციის შესახებ სწორი, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინფორმაციის მიწოდებაში სკოლის როლის შესახებ კი, მომდევნო თავებში ვისაუბრებთ.

კვლევაში მონაწილე როგორც მასწავლებლები, ისე, მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ მასწავლებლების მხრიდან, მენსტრუაციის საკითხების შემცველი თავის ახსნა და მასთან დაკავშირებული აქტივობები (კითხვების დასმა, დაფასთან გამახება, გაკვეთილის მოყოლა) არ მიმდინარეობს ისე, როგორც სხვა ყველა დანარჩენი გაკვეთილის შემთხვევაში.

ამ მხრივ, გამოიკვეთა რამდენიმე სახის პრაქტიკა. კერძოდ, რიგ შემთხვევებში, ბიოლოგიის მასწავლებლები საერთოდ არიღებდნენ თავს, აეხსნათ მენსტრუაციასთან დაკავშირებული გაკვეთილი და მოსწავლეებს ეუბნებოდნენ, რომ სახელმძღვანელოს ეს თავი, შეემლოთ, თავადაც წაეკითხათ.¹⁶

მოსწავლეებიც და მასწავლებლებიც იხსენებენ შემთხვევებს, როდესაც მასწავლებლებს ჰქონდათ მცდელობა, განეხილათ მენსტრუაციასთან

¹⁵ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია №36 გოგოებისა და ქალების განათლების უფლების შესახებ (CEDAW/C/GC/36). პარაგრაფი 30.

¹⁶ აღსანიშნავია, რომ მასწავლებელი რესპონდენტებიდან მხოლოდ ერთი იყო ბიოლოგიის მასწავლებელი, თუმცა, კვლევის ფარგლებში, ამ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია მივიღეთ იმ მოსწავლეებისგან და ასევე, მასწავლებლებისგანაც, რომლებსთვისაც ცნობილი იყო მსგავსი ფაქტები მათი კოლეგა მასწავლებლებისგან.

დაკავშირებული გაკვეთილი, თუმცა მოსწავლე (ძირითად შემთხვევებში) ბიჭების უხერხულობის განცდით გამოწვეული რეაქციებიდან (სიცილი, გოგოებისთვის უხერხულობის შემქმნელი კომენტარები) გამომდინარე, გაკვეთილის ახსნა შეუწყვეტიათ (მოსწავლე გოგოები ამას „გაკვეთილის ჩაშლად“ მოიხსენიებენ).

კვლევით დადგინდა, რომ დღემდე არსებობს პრაქტიკა, როდესაც მასწავლებლები ამ საკითხთან დაკავშირებით, გოგოებსა და ბიჭებს ერთმანეთისგან აცალკევებენ და მენსტრუაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე მხოლოდ გოგოებს ესაუბრებიან. მოსწავლე რესპონდენტების ნაწილმა ამგვარი პრაქტიკა დადებითად შეაფასა. მათი თქმით, ეს პრაქტიკა მისაღებია, რადგან ასე, თავიდან აირიდებენ ბიჭებისგან დასმულ მათთვის უხერხულობის შემქმნელ კითხვებსა და სხვადასხვა სახის „დამცინავ კომენტარებს“, რაც მათ არაკომფორტულად აგრძნობინებს თავს.

მოსწავლე რესპონდენტების მეორე ნაწილის აზრით, გოგოებისა და ბიჭების განცალკევების პრაქტიკა, პირიქით, საზიანოა, რადგან ის კიდევ უფრო მეტად აღრმავებს, ახალისებს და კვლავ აწარმოებს მენსტრუაციასთან დაკავშირებულ სტიგმას, ბიჭებს უღრმავებს იმის განცდას, რომ მენსტრუაცია ნამდვილად „განსაკუთრებული“ და „სასირცხვილო“ საკითხია და მასზე გოგოებთან და ბიჭებთან ერთად საუბარი მიუღებელია.

*„სკოლაში ცალ-ცალკე დატოვება და ახსნა არ უნდა იყოს. ყველანი ერთად უნდა განიხილავდნენ. ბიჭებთან რომ არ შეიძლება და ამაზე გოგოებთან საუბრობ, უკვე გაძლევს იმის საფუძველს (იფიქრო), რო რაღაც ძალიან უხერხულია და არ შეიძლება“ - ბათუმის მიმდებარე სოფლის ერთ-ერთი საჯარო სკოლის მოსწავლე.
ჩაღრმავებული ინტერვიუს რესპონდენტი.*

აღსანიშნავია, რომ გოგოებისა და ბიჭების განცალკევების პრაქტიკას, მენსტრუაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემის დროს, სკოლაში მიმართავენ როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების ნაწილშიც.

კვლევის ყველა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ მათ სკოლაში ყოველ წელს მიდიან სხვადასხვა ორგანიზაციის (მათი ინფორმაციით, მენსტრუაციული ჰიგიენური პროდუქტების წარმომადგენელი კერძო კომპანიები) წარმომადგენლები, გოგოებს ტოვებენ გაკვეთილების შემდეგ, ურიგებენ მენსტრუაციულ პროდუქტებს (ჰიგიენურ საფენებს) და ესაუბრებიან მენსტრუაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამ ვიზიტებთან დაკავშირებით, კვლევის ყველა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ამ დროს ბიჭებს უშვებენ საკლასო ოთახიდან და მხოლოდ გოგოებს აქვთ შესაძლებლობა, დაესწრონ ამ აქტივობებს.

აღსანიშნავია, რომ თავად მოსწავლე რესპონდენტები, მენსტრუაციასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ბიჭი მოსწავლეების სათანადო ინფორმირებულობას პირდაპირ უკავშირებენ სტიგმის შემცირებას, რაც მათივე

თქმით, მნიშვნელოვანწილად გაუმარტივებდათ მენსტრუაციასთან დაკავშირებული სირცხვილის განცდის გადალახვას.

რესპონდენტების უმრავლესობის აზრით, ბიჭების არასენსიტიური და მათთვის დისკომფორტის შემქმნელი ქცევები მენსტრუაციასთან მიმართებით, იმით არის განპირობებული, რომ მათ ამ საკითხზე არავინ ესაუბრება, არ აქვთ შესაბამისი ინფორმაცია, მათთვის ეს საკითხი არ არის ნორმალიზებული და, შესაბამისად, არ აქვთ შესაბამისი მგრძნობელობა ამ საკითხის მიმართ.

„ბიჭებმა არ იციან და როცა არ იციან, იმაზე დაცინვას იწყებენ. თუ ეცოდინებათ ისე, როგორც ჩვენ (გოგოებმა) ვიცით, მაშინ უფრო მაღალი განათლების დონე ექნებათ და უფრო უკეთ შეძლებენ, რო გაგვივონ. რადგან მათ არ გამოუცდიათ, არ ნიშნავს, რომ არავის გამოუცდია“ - ბათუმის ერთ-ერთი საჯარო სკოლის მოსწავლე. ფოკუს ჯგუფის მონაწილე.

კვლევის მონაწილე გოგოების სრული უმრავლესობა იხსენებს სულ მცირე ერთ შემთხვევას მაინც, როდესაც თავად ან მათ თანატოლს ჰქონდა სკოლაში ტანსაცმლის და სკამის დასვრის შემთხვევა, რასაც თანატოლების მხრიდან მათთვის დისკომფორტის შემქმნელი რეაქცია მოჰყოლია.

კვლევამ გამოავლინა არაერთი შემთხვევა, როდესაც მენსტრუაციასთან დაკავშირებით სკოლაში განცდილი ბულინგი მოსწავლის მიერ სკოლის ხანგრძლივი დროით (რამდენიმე დღე - 1 კვირა-2 კვირა) გაცდენის მიზეზი გახდა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მენსტრუაციასთან დაკავშირებული სირცხვილის გამო სკოლა გაუცდენიათ არა მხოლოდ იმ მოსწავლეებს, რომლებიც უშუალოდ გამხდარან ბულინგის მსხვერპლი, არამედ, მათაც, ვისაც ასეთი ბულინგი უშუალოდ არ განუცდია, თუმცა აქვთ შიში.

„ვიღაც ბიჭმა დაინახა თავისმა კლასელმა (სისხლით დასვრილი სკამი) იმან თავის მეგობარს გადაჩურჩულა, იმან - თავისას და მერე გახდა დაცინვის საგანი.

„კარგად“ აბულინგებდნენ. 1 კვირა გაგრძელდა მაქსიმუმ ეს ბულინგი. ზოგჯერ არი, რო 1 თვეც გახსენებენ ამას. ეს გოგო იმ პერიოდში სკოლაში არ დადიოდა“. - თბილისის ერთ-ერთი საჯარო სკოლის მოსწავლე. ჩალრმავებული ინტერვიუს რესპონდენტი.

„მყავს ისეთი მეგობარი, რომელიც არ მიდის სკოლაში მენსტრუაციის დროს პირველი რამდენიმე დღე, იმიტო რო შედარებით ბევრი მოსდის და შეიძლება, დაესვაროს. ამითი, იზღუდება მისი განათლების უფლებაც. ის ფსიქოლოგია მაინც თავისას შვრება რა, რო .. ისტრესება. დასვრის რცხვენია კონკრეტულად“. - თელავის მიმდებარე სოფლის ერთ-ერთი საჯარო სკოლის მოსწავლე. ჩალრმავებული ინტერვიუს რესპონდენტი.

როგორც კვლევით დადგინდა, მენსტრუაციასთან დაკავშირებულ ბულინგთან/შერცხვენასთან გასამკლავებლად, სკოლის მასწავლებლები ახალისებენ მენსტრუაციის/მენსტრუაციასთან დაკავშირებული პროდუქტების „უკეთ დამალვის“ პრაქტიკას. ამგვარი მიდგომა, ცხადია, იცავს მოსწავლე გოგოებს ბულინგისგან და სტრესისგან, თუმცა, გოგოების ნაწილის აზრით, ის დისკრიმინაციულია.

„ძალიან შემომიბტია (მენსტრუალურმა) ტკივილებმა. ჩავიღუნე და მუცელზე ხელს ვიკიდებდი. ვერაფერს ვერ ვშვრებოდი, მოდის მასწავლებელი და მეუბნება, რო გასწორდიო, ძალიან გეტყობა, მენსტრუაცია რო გაქო, ჩუმად მითხრა. ჩემ გვერდით მოსწავლემ უთხრა, მასწავლებელო, ტკივა და როგორ უნდა გასწორდესო. გასწორდიო ან გადიო. რატომღაც უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი. მით უმეტეს, ქალი იყო და რატო ვერ უნდა გაეგო ჩემთვის? ან წამალი შემოეთავაზებინა, ან პაკეტი.. ძალიან დაჩაგრულად ვიგრძენი ამ დროს თავი. ძალიან. მით უმეტეს, ქალისგან უნდა მოდიოდეს ის (გულისხმობს, თანადგომას, სოლიდარობას), პოზიცია უნდა დაიკაოს შენი, რა. ქალია. გასწორდი, გეტყობაო. უკვე იგრძობოდა, რომ ის საზოგადოების აზრზე ფიქრობდა, რას იტყოდნენ ისინი ჩემზე და არა, ჩემ ჯანმრთელობაზე, მდგომარეობაზე. ზოგადად გაამახვილა ყურადღება შერცხვენაზე“. - ბათუმის მიმდებარე სოფლის ერთ-ერთი საჯარო სკოლის მოსწავლე. ფოკუს ჯგუფის მონაწილე.

მასწავლებელთა ამგვარი მიდგომები გამოიკვეთა თავად კვლევაში მონაწილე მასწავლებელი რესპონდენტების მხრიდანაც. მათი ნაწილის თქმით, მოზარდებს დღეს ნაკლებად ახასიათებთ მენსტრუაციასთან დაკავშირებული უხერხულობა და პირიქით, ამ საკითხთან დაკავშირებით, ისინი მოზარდების „ზედმეტ“ გახსნილობაზე საუბრობენ (უარყოფით კონტექსტში).

„მენსტრუაცია არანაირად არ არის სირცხვილი, [...] კლასელმა ბიჭებმა დეტალურად იცოდნენ, როდის მაქვს მენსტრუაცია, და როდის რა პერიოდი მაქვს, ცოტა არ იყოს და.. ანუ... (უხერხულად ეცინება) არ მესიამოვნებოდა, რომ ამ თემაზე კლასელ ბიჭებთან... იმიტომ რომ ბევრნი არიან, (ეცინება) დავდგე და ვისაუბრო. ანუ, სირცხვილი არ არის მენსტრუაციის ქონა, მაგრამ ეგეც ზედმეტი მგონია, რო, იყო ეგეთი ფაქტები, რომ იცოდნენ ერმანეთის მენსტრუაცია, ანუ გოგოები ამას აფიშირებდნენ, არ მალავდნენ“. - თბილისის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში მომუშავე მასწავლებელი.

აქვე, აღსანიშნავია, რომ მენსტრუაციის დროს ტანსაცმლის/სკამის დასვრას მასწავლებელთა ნაწილი მოსწავლის არასაკმარის მოწესრიგებულობას უკავშირებს.

„ბავშვი ვალდებულია, საკუთარი ორგანიზმის შესახებ ინფორმაციას ფლობდეს. ბავშვი თვითონ. უნდა იცოდეს თვითონ. დედამ! ნუ, ჩვენც.. ვეუბნებით ხოლმე,

შვილო, ხო ხედავ, ერთჯერ დაგემართა (დაგესვარა ტანსაცმელი მენსტრუაციული სისხლი), ორჯერ დაგემართა.. მოდი, ცოტა გავუფრთხილდეთ, გავუფრთხილდეთ [...] მან უნდა ისწავლოს ამით ცხოვრება“ - ბათუმის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში მომუშავე მასწავლებელი.

„ჩემთან მასწავლებლები იმას აძლევენ შენიშვნას, ვისაც დაესვრება. უთქვამთ, რო რატომ არ იწესრიგებ თავს?“ - ბათუმის ერთ-ერთი საჯარო სკოლის მოსწავლე. ფოკუს ჯგუფის მონაწილე.

კვლევის რესპონდენტი მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად მათი მონდომებისა და დიდი სურვილისა, სათანადოდ მიაწოდონ ბავშვებს მენსტრუაციასთან დაკავშირებული ინფორმაცია, სკოლა მათ არ სთავაზობს რაიმე სახის გადამზადების შესაძლებლობებს, რომელთა ფარგლებშიც, ისინი ამ საკითხებზე სასაუბრო უნარებს გაიუმჯობესებდნენ. ინტერვიუებიდან ცალსახად იკვეთება, რომ მასწავლებლების ზემოთ ხსენებული მიდგომები, მოსწავლეებზე ზრუნვით არის განპირობებული და შესაბამისი უნარების ფლობის პირობებში, უფრო ეფექტიანად შეძლებდნენ მენსტრუაციასთან დაკავშირებული ბულინგის პრევენციასაც და სტიგმის შემცირების ხელშეწყობასაც.

კვლევის ფარგლებში ასევე შევისწავლეთ, მასწავლებლების მიერ, საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეების საპირფარეშოში გაშვების საკითხი. როგორც თბილისში, ისე საქართველოს სხვა რეგიონებში მცხოვრებმა მოსწავლე რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც მასწავლებელი, თხოვნის მიუხედავად, საგაკვეთილო პროცესიდან არ უშვებთ საპირფარეშოში. ასეთი პრაქტიკა განსაკუთრებით დისკომფორტის შემქმნელია მენსტრუაციის დღეებში. რესპონდენტების დიდმა ნაწილმა აღნიშნა, რომ იძულებულები არიან, მასწავლებელს საპირფარეშოში გასვლის მიზეზი გაუმხილონ, რის შემდეგაც, მასწავლებელი (ძირითად შემთხვევაში) მათ ათავისუფლებს.

რესპონდენტების თანახმად, ამგვარი პრაქტიკა დისკომფორტის შემქმნელია რამდენიმე მიზეზიდან გამომდინარე, კერძოდ, ზოგი მასწავლებელი კაცია და მათთან მენსტრუაციაზე საუბარი ზედმეტად დისკომფორტულია მოსწავლე გოგოებისთვის. გარდა ამისა, მასწავლებელთან გაკვეთილზე მისვლა და ზედმეტი კომუნიკაცია გარშემომყოფებს მიანიშნებს, რომ შესაძლოა, მათ მენსტრუაცია ჰქონდეთ.

„ფიზიკას გვასწავლის (კაცი მასწავლებელი) და დაფასთან ვიდექი, დაქალი მოვიდა და მითხრა, გეტყობა ძალიანო და ჯობია, გახვიდეო, ჩუმად მითხრა. და კარებისკენ წავედი, არ მითქვამს მასწავლებლსთვის, ძალიან მომერიდა, კაცთან მაგის თქმა ცოტა.. შემაჩერა და მკითხა, სად მიდიხარო. საპირფარეშოში მივდივარ-თქო, რატო მიდიხარო, რატო მიდიხარო.. გაკვირვებული სახით

ვუყურებ. ვერც ვუთხარი ვერაფერი. დავჯექი სკამზე, ველარც გავედი. ბავშებს აუტყდათ სიცილი, ემოციებს ჩავბარდი და დავიწყე ტირილი. მერე დაინახა, რო ვტიროდი და გამიშვა. [...] ვფიქრობ, იმიტო გაიცინეს რომ მიხვდნენ“. - ბათუმის მიმდებარე სოფლის ერთ-ერთ სკოლის მოსწავლე. ფოკუს ჯგუფის მონაწილე.

კვლევის მონაწილე მასწავლებელი რესპონდენტების სრული უმრავლესობის თქმით, ისინი მოსწავლეებს საპირფარეოში ყოველგვარი დამატებითი არგუმენტაციის საჭიროების გარეშე უშვებენ, თუმცა, მათმა ნაწილმა აღნიშნა, რომ იცნობენ კოლეგა მასწავლებლებს, რომლებსაც არ აქვთ ამ მხრივ ასეთი მოქნილი პრაქტიკა და საპირფარეოში გასვლისას მოსწავლეებს დაბრკოლებებს უქმნიან.

კვლევის შედეგად გამოვლინდა ტენდენცია, რომ სკოლის მოსწავლე გოგოების გარკვეული ნაწილი სკოლას აცდენს მენსტრუაციასთან დაკავშირებული სტიგმის გამო. კითხვაზე, მიაჩნიათ თუ არა, რომ სკოლის გაცდენა ზეგავლენას ახდენს მათ განათლებასა და აკადემიურ მოსწრებაზე, გოგოების დიდი ნაწილი უარყოფითად პასუხობდა. მათი ძირითადი ნაწილი, ამ საკითხზე ჩაკითხვისას გვპასუხობდა, რომ სკოლის მენსტრუაციის დღეებში რეგულარული გაცდენის პრაქტიკა აკადემიურ მოსწრებაზე არ აისახება არა იმიტომ, რომ გაცდენები რაოდენობრივად უმნიშვნელოა, არამედ, იმიტომ, რომ ზოგადად, განათლების სისტემის ხარისხს არ აფასებენ დადებითად. მათი თქმით, იმ შემთხვევაში, თუ სკოლაში განათლების მიწოდება ინტენსიური ხასიათის იქნება და მასწავლებლები ყოველდღე ახალ-ახალ გაკვეთილებს ახსნიან, ისინი ჩამორჩებიან სწავლების პროცესს გაცდენების გამო და ამით მათი აკადემიური მოსწრება გაუარესდება.

სკოლაში არსებული გარემოს გავლენა გოგოების განათლების უფლების განხორციელებაზე

საქართველოს სკოლებში არსებული სველი წერტილების მოუწესრიგებლობა, რიგ შემთხვევაში, მათი სავალალო მდგომარეობა ან არ არსებობა გამოიკვეთა როგორც წინამდებარე კვლევაში¹⁷, ასევე, სახალხო დამცველის მიერ 2019 წელს გამოქვეყნებულ კვლევის ანგარიშში, რომელიც წყალს, სანიტარიასა და ჰიგიენას შეეხება საქართველოს საჯარო სკოლებში.¹⁸

ყველა საკვლევ რეგიონში (მათ შორის, თბილისშიც) გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც კონკრეტულად სკოლის სველი წერტილის მოუწესრიგებლობის გამო, მენსტრუაციის დროს, გოგოები რეგულარულად, რამდენიმე დღის განმავლობაში აცდენენ სკოლას. იმ რესპონდენტების უმრავლესობა, რომლებიც თავად ასეთ

¹⁷ აღნიშნული დეტალურად იქნება განხილული მომდევნო ქვეთავებში.

¹⁸ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, წყალსა და სანიტარიაზე უფლების ხელმისაწვდომობა საქართველოს საჯარო სკოლებში, სპეციალური ანგარიში, 2018. კვლევის ანგარიში მისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://bit.ly/34F7Cjv> წყარო ბოლოს ნანახია: 24.12.2020.

პრაქტიკას არ მიმართავენ, იცნობს სხვა მოსწავლეებს, რომლებიც მინიმუმ მენსტრუაციის პირველ დღეებში აცდენენ სკოლას, რადგან პირველ დღეებში, სხვა დღეებთან შედარებით, მეტი სისხლდენა აქვთ. ამ დღეებში მენსტრუაციის ჰიგიენის მართვა განსაკუთრებული პრობლემაა სკოლის საპირფარეშოების მოუწყვრეებლობის პირობებში (ამ კონტექსტში, დამატებითი დამაბრკოლებელი ფაქტორია მასწავლებლებს მიერ, მოსწავლეების საპირფარეშოში გაშვებასთან დაკავშირებული შემზღუდველი პრაქტიკები).

როგორც ზევით, მენსტრუაციის სტიგმის განათლების მიღების განსახილვევ ქვეთავში მოგახსენეთ, კვლევის რესპონდენტი გოგოების უმრავლესობას არ მიაჩნია, რომ სკოლის რეგულარულად გაცდენის პრაქტიკა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათ განათლებაზე, თუმცა, ამას გაცდენების რაოდენობას კი არა, სკოლაში განათლების მიღების არაინტენსიურობას და დაბალ ხარისხს უკავშირებენ.

მენსტრუაციასთან დაკავშირებული სტიგმის გავლენა გოგოების ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის თანახმად, ჯანმრთელობის უფლება მოიცავს ჯანმრთელობასთან, მათ შორის, სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ განათლებასა და ინფორმაციაზე წვდომას.¹⁹

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მენსტრუაციასთან (და არა მხოლოდ) დაკავშირებულ განათლებაზე წვდომის არქონა არღვევს არა მხოლოდ განათლების, არამედ, ჯანმრთელობის უმაღლესი სტანდარტის მიღწევის უფლებასაც.

აქვე, აღსანიშნავია ის მიგნებები, რაც წინამდებარე კვლევამ მენსტრუაციასთან დაკავშირებული სტიგმის ჯანმრთელობაზე გავლენის კუთხით გამოკვეთა.

რესპონდენტების თქმით, მენსტრუაციის დროს განსაკუთრებულ სტრესში იმყოფებიან, რადგან მუდმივად აქვთ შიში, რომ ტანსაცმელი/სკამი დაესვრებათ და გარშემო მყოფები შეამჩნევენ, რაც მათთვის ავტომატურად სირცხვილის განცდას უკავშირდება.

როგორც ზევით უკვე აღინიშნა, მენსტრუაციასთან დაკავშირებული ბულინგი მნიშვნელოვან სტრესს იწვევს არა მხოლოდ იმ გოგოებში, ვინც უშუალოდ ხდება ამ ბულინგის მსხვერპლი, არამედ, მას სხვა გოგოებისთვისაც „გამაფრთხილებელი“ ეფექტი აქვს.

¹⁹ CESCR ზოგადი კომენტარი 14, პარაგრაფი 11.

კვლევის რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ იმ გოგოებს, რომლებიც ბულინგის მსხპერპლები გამხდარან, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, რთული პერიოდი ჰქონდათ.

„დეპრესია ჰქონდა საშინელი იმ ყველაფრის მერე, რაც მოხდა. სახლში ჩაიკეტა, ვერ გამოვიყვანეთ, ძალიან რცხვენოდა, ვერ გამოვიყვანეთ. 2 კვირაზე მეტი იყო ესე. დედამისმაც და ჩვენც ვცადეთ, გამოგვეყვანა და გვეთქვა, რომ ეს არის ჩვეულებრივი მოვლენა და ნუ აქცევ ამათ ყურადღებას“. - თბილისის ერთ-ერთი საჯარო სკოლის მოსწავლე. ჩაღრმავებული ინტერვიუს რესპონდენტი.

კვლევისას გამოვლინდა, რომ რიგ შემთხვევებში, მენსტრუაციასთან დაკავშირებული ტაბუ იმდენად ძლიერია, რომ გოგოებს, მენსტრუაციასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის გართულებების პირობებში, პრობლემის გამჟღავნების შერცხვენიათ.

ერთ შემთხვევაში, რესპონდენტმა აღნიშნა, რომ მენსტრუაციასთან დაკავშირებული გართულებების ხმამაღლა მოყლის შერცხვა და ექიმს დაგვიანებით მიმართა, მასთან ვიზიტის შემდეგ კი, აღმოაჩინა, რომ კისტა ჰქონდა.

სხვა შემთხვევაში, რესპონდენტი გოგო, რომელსაც ძლიერი მენსტრუაციული ტკივილები აწუხებდა, აღნიშნა, რომ ის მამასთან და ძმებთან ერთად იზრდება და, შესაბამისად, ოჯახის კაც წევრებს თავის ამ პრობლემას ვერ გაუმხელდა და მათთან ერთად გინეკოლოგთან ვერ წავიდოდა.

კითხვაზე, მათი აზრით, შესაძლებელია თუ არა, მენსტრუაციასთან დაკავშირებულმა სტიგმამ, ტაბუმ და სირცხვილმა ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება გამოიწვიოს, რესპონდენტების უმრავლესობა პასუხობდა დადებითად და ამას მათ გარშემო მომხდარი რეალური ისტორიებით ასაბუთებდა, რომელთა დროსაც, გოგოები სირცხვილის გამო, და იმის შიშით, რომ ეს პრობლემა „მხოლოდ მათ ჰქონდათ“, მენსტრუაციასთან დაკავშირებულ დისკომფორტსა და გართულებებზე ვერ საუბრობდნენ.

რესპონდენტები ასევე აღნიშნავენ, რომ საზოგადოებაში არსებობს გინეკოლოგთან მისვლის პრობლემა. მათი თქმით, საზოგადოებაში კითხვები ჩნდება იმ ქალის/გოგოს პირად ცხოვრებასა და ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით, ვინც გინეკოლოგთან მიდის და ამავე დროს, ოფიციალურ თუ არაოფიციალურ ქორწინებაში არ იმყოფება.

აღსანიშნავია, რომ მენსტრუაციასთან დაკავშირებული სირცხვილის გამო ექიმთან დროული მიმართვის პრობლემა გამოიკვეთა ყველა საკვლევ რეგიონში, გარდა თბილისისა, სადაც რესპონდენტმა გოგოებმა მხოლოდ უხერხულობაზე მიუთითეს ექიმთან მისვლის დროს.

ინფორმირებულობა

კვლევამ აჩვენა, რომ სკოლის მოსწავლე გოგოების დიდ ნაწილს უჭირს მენსტრუაციის ფიზიოლოგიის არსის გააზრება. მათი ცოდნა მენსტრუაციის შესახებ, ძირითადად ფრაგმენტული და მწირია, ზოგჯერ კი - მცდარი. ინფორმაცია, რომელსაც ფლობენ, მაგალითად, მენსტრუაციული სისხლდენის და თვითონ მენსტრუაციული ციკლის ხანგრძლივობის და თანმდევი მოვლენების შესახებ (როგორცაა თავის და მუცლის ტკივილი, გუნება-განწყობის ცვალებადობა, დაღლილობა და სხვ.), როგორც წესი, მხოლოდ იმით შემოიფარგლება, რასაც გამოცდილების და ცოდნის ერთმანეთთან გაზიარების შედეგად იღებენ. ამიტომ, ისინი, ხშირად არ არიან დარწმუნებულნი იმ ინფორმაციის სისწორეში, რომელსაც ფლობენ. ასევე, რეალურად უჭირთ მითებისა და ფაქტების დიფერენცირება.

გარდა ამისა, კვლევამ ასევე აჩვენა, რომ ის ცოდნა, რომელსაც გოგოები ფლობენ, გაცილებით მწირია (პრაქტიკულად უმნიშვნელო) მენსტრუაციის დაწყებამდე, ან მის საწყის ეტაპზე და გამოცდილებასთან ერთად იზრდება (თავად გოგოების აზრით). საინტერესოა ისიც, რომ, როგორც კვლევამ აჩვენა, დროსთან ერთად ინფორმაციის ზრდის უკუპროპორციულად მცირდება გოგოების მენსტრუაციასთან დაკავშირებული ცოდნის მიმართ კმაყოფილების განცდაც.

აღსანიშნავია, რომ გოგოები ერთნაირად ფლობენ, ან არ ფლობენ მენსტრუაციასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, მიუხედავად იმისა, სოფელში ცხოვრობენ, თუ - ქალაქში. გარდა ამისა, კვლევის ფარგლებში, არ გამოვლინდა კავშირი მათი ინფორმირებულობის დონესა და სკოლაში ბიოლოგიის მასწავლებლის მიერ მენსტრუაციის შესახებ გაკვეთილის ახნას შორის. გოგოების ცოდნის ურბანულ ჭრილში შესწავლისას, ერთადერთი განსხვავება, რაც კვლევის დროს გამოიკვეთა, დაკავშირებული იყო მითებთან და მენსტრუაციის ჰიგიენის თანამედროვე პროდუქტების შესახებ ინფორმაციასთან. კერძოდ, სოფლად მცხოვრები გოგოების ცოდნა ქალაქში მცხოვრებ თანატოლებთან შედარებით, მეტი მითით არის დატვირთული და მენსტრუაციის ჰიგიენის თანამედროვე პროდუქტები (იგულისხმება მენსტრუაციის ჭიქა და ტამპონი, თუმცა ამ უკანასკნელის მიმართ ცნობადობა შედარებით მაღალია) - შედარებით ნაკლებადაა ცნობილი. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ მოსწავლე გოგოებისა და მასწავლებლების მენსტრუაციასთან დაკავშირებული ცოდნა ერთმანეთისგან პრაქტიკულად არ განსხვავდება.

ინფორმაცია მენსტრუაციის შესახებ (ფიზიოლოგიური პროცესი)

კვლევის მონაწილე გოგოების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მენსტრუაციული ციკლი, ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე „ნორმალური“ და „ქალისთვის აუცილებელი“ პროცესია, რომელიც გარდატეხის ასაკში იწყება და

დაკავშირებულია ქალის რეპროდუქციასთან. ასევე, აღნიშნეს მენსტრუაციის ციკლოზობის შესახებ; კერძოდ ის, რომ მენსტრუაცია თვეში ერთხელ ხდება და საკვერცხეებთან და კვერცხუჯრედის მომწიფებასთან არის დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, თითქმის ვერავინ დაასახელა, თუ რა არის საკვერცხეები, ან კონკრეტულად რა კავშირია რეპროდუქციას, საკვერცხეებსა და მენსტრუაციულ ციკლს შორის. ასევე, კვლევის მონაწილეთა მცირე ნაწილს ჰქონდა ინფორმაცია იმ ორგანოს შესახებ, საიდანაც მენსტრუაციული სისხლი მოდის. გოგოების მონაყოლში ჩანდა, რომ მათ უმრავლესობას ეს ინფორმაცია მექანიკურად ჰქონდა დამახსოვრებული და არც იმ ინფორმაციის სისწორეში იყვნენ დარწმუნებულები, რომელსაც ფლობდნენ. აღსანიშნავია, რომ გამოკითხული მოსწავლეებიდან, მხოლოდ ორმა რესპონდენტმა შეძლო მენსტრუაციის ფიზიოლოგიური პროცესი სრულად აღეწერა.²⁰

გარდა იმისა, რომ გოგოების პრაქტიკულად აბსოლუტურ უმრავლესობას ძალიან მწირი ინფორმაცია აქვს მენსტრუაციის შესახებ, საკმაოდ ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც ინფორმაცია, რომელსაც ისინი ფლობენ, არასწორია. ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული არასწორი შეხედულება მენსტრუაციის შესახებ, რომელიც პრაქტიკულად კვლევის ყველა მონაწილემ და, მათ შორის, მასწავლებელმაც აღნიშნეს, ის იყო, რომ მენსტრუაციის დროს ორგანიზმი მავნე ნივთიერებებისგან (ზოგჯერ აღნიშნავდნენ, რომ ტოქსინებისგან და ბაქტერიებისგან) იწმინდება და ამ დროს ქალის სხეულიდან გამოიყოფა ბინძური სისხლი. ეს ფაქტი, როგორც კვლევამ აჩვენა, თვითსტიგმის წარმოებას უწყობს ხელს და ხშირად, გარკვეული ტიპის აქტივობების განხორციელების ბარიერადაც იქცევა (მაგალითად, აუზში, ზღვაში, ან მდინარეზე ბანაობაზე უარი, მიზეზით: „წყალი რომ არ დავაბინძურო და სხვებს ჯანმრთელობის პრობლემა არ შევუქმნა“). საყურადღებოა ის ფაქტი, რომ კვლევის მონაწილეთა დიდმა ნაწილმა ამ ინფორმაციის წყაროდ, სკოლაში ჩატარებული ბიოლოგიის გაკვეთილი დაასახელა. გარდა ამისა, მათ აღნიშნეს, რომ ინფორმაცია ე.წ. „ბინძური სისხლის“ და „ორგანიზმის გაწმენდის“ შესახებ, მშობლებმა, მეგობრებმა და სხვა ახლობელმა ადამიანებმა მიაწოდეს.

მენსტრუაციის ე.წ. საყურადღებო ნიშნები

კვლევის მონაწილე გოგოებს ეთხოვათ, აღეწერათ მენსტრუაციის თანმხლები მოვლენები და ფორმა, რომლითაც ისინი ვლინდება (პერიოდულობა, ხანგრძლივობა და ა.შ.). ამასთან, მათ უნდა დაესახელებინათ ე.წ. საყურადღებო ნიშნები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელთა გამოვლენის დროსაც,

²⁰ შენიშვნა: ორივე მათგანს ექიმობა სურდა და, როგორც თავად აღნიშნეს, ინფორმაცია რომელსაც ფლობდნენ, რეპეტიტორისგან ჰქონდათ მიღებული ან/და განსაკუთრებული ინტერესის გამო, სხვადასხვა ონლაინრესურსის საშუალებით, დამოუკიდებლად ჰქონდათ მოძიებული.

აუცილებელი იქნებოდა შესაბამისი სპეციალისტისგან (გინეკოლოგის, ან სხვა პროფილის ექიმის) კონსულტაციის მიღება.

კვლევის მონაწილე გოგოების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მენსტრუაცია მეორდება ყოველ თვე (ზოგჯერ ამბობდნენ - 28 დღეში ერთხელ) და 3-6, ან ზოგჯერ, მეტი დღის განმავლობაში გრძელდება. მათივე ინფორმაციით, მენსტრუაციას თან ახლავს გარკვეული ტიპის მოვლენები; მაგალითად თავის, ფეხების, წელისა და მუცლის ტკივილი, გუნება-განწყობის ცვლილება, კონკრეტულად კი გაღიზიანება, გამონაყარი კანზე და სხვ. გოგოებმა ასევე აღნიშნეს, რომ მენსტრუაციული ციკლი გარდატეხის ასაკში იწყება, თუმცა დაწყების დრო ინდივიდუალურია და ზოგისთვის ეს დრო უფრო ადრე დგება, ზოგისთვის - შედარებით გვიან.

გოგოებმა დაასახელეს ის ნიშნებიც, რომლებიც, მათი აზრით, ყურადსაღებია და სამედიცინო პროფესიონალის კონსულტაციას საჭიროებს. მათ შორის, ყველაზე ხშირად დასახელდა არარეგულარული მენსტრუაციული ციკლი, მენსტრუაციის გვიანი დაწყება (გვიანი მენარქე) ან/და ჭარბი (ან ხანგრძლივი), ან მცირე რაოდენობის მენსტრუაცია, ასევე - მენსტრუაციული სისხლის შეცვლილი ფერი. მიუხედავად ამისა, ვერცერთმა მათგანმა ვერ შეძლო ზუსტად ეთქვა, კონკრეტულად რა შეიძლებოდა ჩათვლილიყო არარეგულარულ ციკლად, დაგვიანებულ ან ნაადრევ მენსტრუაციად, გახანგრძლივებულ, ან ჭარბ სისხლდენად და ა.შ. იყო შემთხვევები, როდესაც გოგოები ამბობდნენ, რომ მათ აღნიშნებოდათ გარკვეული ტიპის დარღვევები, რომელთა გამოც, ფიქრობდნენ, რომ აუცილებელი იყო ექიმისთვის მიემართათ, თუმცა მხოლოდ რამდენიმე მათგანს ჰქონდა გინეკოლოგთან ვიზიტის გამოცდილება. აღსანიშნავია, რომ იმ სიმპტომების ნაწილი, რომლებსაც გოგოები ე.წ. საყურადღებო ნიშნებად ასახელებდნენ, სულაც არ იყო საყურადღებო. თუმცა, იმიტომ, რომ გოგოების უმრავლესობას ზუსტი და საკმარისი ინფორმაცია არ ჰქონდა, ამ „სიმპტომების“ გამო, ღელავდნენ.

მენსტრუაციული ტკივილი, მათ შორის, ძლიერი მენსტრუაციული ტკივილი, როგორც საყურადღებო ნიშანი, თითქმის არცერთ მოსწავლეს არ დაუსახელებია. ისინი მენსტრუაციულ ტკივილს მენსტრუაციის ჩვეულებრივ და ინდივიდუალურ თანმდევ მოვლენად აღიქვამენ (მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე მათგანმა მიუთითა მტკივნეული მენსტრუაციის გამოცდილებაზე, მათ შორის იმდენად მტკივნეულის, რომ სასწრაფოს გამოძახებისა და კლინიკაში გადაყვანის საფუძველი გახდა).²¹ აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მსგავსი ტენდენცია

²¹ აქ მნიშვნელოვანია ერთი გარემოების აღნიშვნა. კვლევის რამდენიმე მონაწილემ ინტერვიუს დროს გაიხსენა შემთხვევა, როდესაც ძლიერი ტკივილის გამო სამედიცინო დაწესებულებაში მოხვდა, სადაც ექიმმა უთხრა, რომ ტკივილი (მათ შორის, ძლიერი ტკივილი, რომელიც სასწრაფო

შეინიშნა მასწავლებლებს შორისაც და მენსტრუაციის დროს ძლიერი ტკივილის პრობლემურობას მხოლოდ ორმა გამოკითხულმა პედაგოგმა მიაქცია ყურადღება. როგორც მოსწავლეებისთვის, ისე მასწავლებლებისთვის მენსტრუაციასთან დაკავშირებული პრობლემების ერთადერთი უარყოფითი შედეგი ქალის რეპროდუქციის უნარის არქონა/დაკარგვა, ან მასთან დაკავშირებული პრობლემებია.

ინფორმაცია მენსტრუაციის ჰიგიენის შესახებ

კვლევამ აჩვენა, რომ მენსტრუაციის ჰიგიენური პროდუქტების შესახებ მოსწავლეებისა და მასწავლებლების ცოდნა, ერთმანეთისგან პრაქტიკულად არ განსხვავდება. კვლევის მონაწილეებს შორის, ყველამ იცოდა ერთჯერადი (პაკეტები) და მრავალჯერადი მოხმარების ჰიგიენური საფენების (ნაჭერი, მარლა, შედარებით იშვიათად - ტრუსები) შესახებ; შედარებით ნაკლები ფლობდა ინფორმაციას ტამპონისა და კიდევ უფრო ნაკლები - მენსტრუაციული ჭიქის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ამ ორი უკანასკნელი პროდუქტის თაობაზე ინფორმაცია კიდევ უფრო ნაკლებად გავრცელებული აღმოჩნდა სოფლებში მცხოვრები გოგოებისთვის. გარდა ჰიგიენის იმ პროდუქტებისა, რომლებიც კონკრეტულად მენსტრუაციის დროს გამოიყენება, კვლევის მონაწილეებმა ასევე აღნიშნეს, რომ ქალებისა და გოგოებისგან გაუგიათ მენსტრუაციის დროს პამპერსის²² გამოყენების შესახებაც.

მწირი აღმოჩნდა გოგოების ინფორმაცია, თითოეული მენსტრუაციული ჰიგიენური საშუალების უპირატესობისა და არასასურველი მოვლენების, ზოგ შემთხვევაში - მათი მოხმარების წესების შესახებ. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ჰიგიენასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელსაც გოგოები ფლობენ, გამოცდილების ერთმანეთისთვის გაზიარების შედეგია. შესაბამისად, ინფორმაცია არასრულია, ზოგჯერ - არასწორი, დატვირთულია სოციალურ-კულტურული განწყობებით და ბევრი ღიად დარჩენილი კითხვის გამო, გოგოებში არასაკმარისი ცოდნის განცდას იწვევს.

სხვა საშუალებებთან შედარებით, რესპონდენტები მეტ ინფორმაციას ფლობდნენ ერთჯერადი ჰიგიენური საფენების (ე.წ. პაკეტები) შესახებ. მათმა ნაწილმა აღნიშნა, რომ მათი გამოყენება, ზოგ შემთხვევაში იწვევს კანის გაღიზიანებას და ამ და სხვა მიზეზების გამო არაკომფორტულია.²³ კვლევის რესპონდენტების მხოლოდ ნაწილმა აღნიშნა, რომ მენსტრუაციის ჰიგიენური პაკეტის სწორად შერჩევის შემთხვევაში,

სამედიცინო დახმარების ბრიგადამ ვერ გააყუჩა) მენსტრუაციის თანმდევი მოვლენაა და შემდგომ სამედიცინო გამოკვლევებს და ტკივილის მიზეზის დადგენას არ საჭიროებს.

²² იგულისხმება ბავშვის ჰიგიენური საფენი.

²³ სკოლის მოსწავლე გოგოებმა დისკომფორტის გამომწვევ ყველაზე ხშირ მიზეზად დაასახელეს სისქე და ჰიგიენური პაკეტის მყარად მორგებასთან დაკავშირებული სიმწელები.

შესაძლებელია მათ მიერ დასახელებული გარკვეული ტიპის დისკომფორტის გადალახვა. ამასთან, ამ ინფორმაციის ფლობის შემთხვევაშიც კი, გოგოების ნაწილს გაუჭირდა დაესახელებინა, კონკრეტულად რა ნიშნით უნდა შეერჩია ჰიგიენური პროდუქტი, მათ მიერ დასახელებული დისკომფორტის დასაძლევად.

მონაწილეების ნაწილი ფიქრობდა, რომ ტამპონი და პაკეტი ერთი და იგივეა. მათგან, ვისაც ტამპონების შესახებ ჰქონდა გაგებული, მხოლოდ მცირე ნაწილმა იცოდა მისი გამოყენების წესებისა და უპირატესობების შესახებ. მის უპირატესობად ძირითადად ასახელებდნენ აუზში/მდინარეში/ზღვაში ჩასვლის შესაძლებლობას. მათგან, ვისაც ინფორმაცია ჰქონდა, უდიდესმა ნაწილმა აღნიშნა, რომ ტამპონის გამოყენება რეკომენდებული არ იყო იმ გოგოებისთვის, ვისაც სექსუალური ცხოვრება ჯერ დაწყებული არ ჰქონდა: „ის მხოლოდ დიდი ქალებისთვის არის“, „როგორც ვიცი, ქალიშვილები არ იყენებენ“. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ გოგოების ძალიან დიდი ნაწილი, რომელსაც ტამპონის გამოყენების გამოცდილება არ ჰქონია, ამბობდა, რომ ტამპონების გამოყენება მათთვის უფრო არაკომფორტული იქნებოდა, ვიდრე - პაკეტების.

როგორც უკვე აღინიშნა, მონაწილეებს ყველაზე ნაკლები ინფორმაცია მენსტრუაციული ჭიქის შესახებ ჰქონდათ, ამასთანავე, მისი გამოყენების გამოცდილება - არცერთს. მათმა ნაწილმა, ვისაც ჰქონდა ინფორმაცია მენსტრუაციული ჭიქის შესახებ, აღნიშნა, რომ უნდოდა გამოყენება, მაგრამ არ იცოდა სად შეიძლებოდა მისი შეძენა, ხოლო მეორე ნაწილს არ სურდა, რადგან ფიქრობდა, რომ კომფორტული არ იქნებოდა.²⁴ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ტამპონისგან განსხვავებით, არცერთ მათგანს არ აღუნიშნავს იმის შესახებ, რომ მენსტრუაციული ჭიქის გამოყენება არ შეიძლებოდა გოგოებისთვის, რომლებსაც სექსუალური ცხოვრება არ ჰქონდათ დაწყებული.²⁵ ეს ფაქტი, შესაძლოა, იმ გარემოებით აიხსნებოდეს, რომ მენსტრუაციული ჭიქის შესახებ ცოდნა და გამოცდილება, განსხვავებით ტამპონისგან, ქართულ რეალობაში ჯერ კიდევ არ არის დამკვიდრებული. შესაბამისად, ინფორმაცია, რომელსაც გოგოები მენსტრუაციული ჭიქის შესახებ იღებენ (ტამპონისგან განსხვავებით), უცხოური წყაროებიდან იყო (ინტერნეტიდან), სადაც მეტად სავარაუდოა, რომ მისი გამოყენების დასაშვებლობა ან/და დაუშვებლობა, ამ კონტექსტში არ იქნებოდა განხილული. რასაც ვერ ვიტყვით ტამპონზე, რომლის შესახებ ინფორმაციაც,

²⁴ მონაწილეები ვერ ხსნიდნენ, რა მოსაზრებას ემყარებოდნენ, როდესაც ამბობდნენ, რომ მენსტრუაციული ჭიქა, ან ტამპონის გამოყენება არაკომფორტული იქნებოდა. მხოლოდ რამდენიმე მათგანმა აღნიშნა, რომ უფროსებისგან ჰქონდა გაგონილი, რომ ტამპონის გამოყენება არაკომფორტულია.

²⁵ მკვლევრის მიერ, აღნიშნული ფაქტის დაშვება მენსტრუაციული ჭიქისა და ტამპონის გამოყენების მსგავსი პრინციპით არის განპირობებული.

ძირითადად მშობლებისგან, ან რეკლამებიდან ჰქონდათ მიღებული და, რომელსაც შემდეგ მეგობრებთან, ან მშობლებთან აზუსტებდნენ.

უამრავი მითით გაჯერებული აღმოჩნდა გოგოების ინფორმაცია მენსტრუაციული ჰიგიენის შესახებ. მართალია, რესპონდენტების მხოლოდ მცირე ნაწილს არ მიაჩნდა მენსტრუაციის დროს დაბანა რეკომენდებულად და უმრავლესობა ფიქრობდა, რომ მენსტრუაციის დროს დაბანა დაშვებულია და აუცილებელიც კი არის; თუმცა, ზოგი ამბობდა, რომ ცივი წყლით დაბანა არ შეიძლება, ზოგი ცხელი წყლით დაბანაზე ამბობდა უარს, ზოგი კი მენსტრუაციის დროს დაბანისას, საპნის გამოყენების არარეკომენდებულობაზე საუბრობდა. რესპონდენტების დანარჩენი ნაწილისთვის თავის დაბანა არ იყო რეკომენდებული, ნაწილის აზრით კი, დაბანა მხოლოდ მენსტრუაციის პირველ რამდენიმე დღეს არ შეიძლებოდა.

„გამიგია ხშირად, რომ თავდაპირველ დღეებში დაბანა არ შეიძლება, დედაჩემიც მეუბნებოდა ამ დროს. აღარ მახსოვს, რატომ არ შეიძლებაო... მასწავლებელი ესე დაწვრილებით არ გვესაუბრა. ისეთი ინფორმაცია, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში შეიძლება გამოიყენო, ამაზე მასწავლებელს არ უსაუბრია“. - სკოლის მოსწავლე გოგო აჭარის რეგიონის ერთ-ერთი სოფლიდან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბევრმა მათგანმა ახსენა ამ წესებისადმი „ჩუმაღ“ დაუმორჩილებლობა. ამასთანავე, გოგოების ის ნაწილი, რომელიც მენსტრუაციის დროს დაბანის აუცილებლობაზე საუბრობდა, ამბობდა, რომ გაგონილი ჰქონდათ ამ წესის (მენსტრუაციის დროს რომ არ შეიძლება დაბანა) შესახებ და, ზოგჯერ თავადაც ეთანხმებოდნენ (მენსტრუაციული ციკლის დაწყებისას).

ინფორმაციის წყარო და კმაყოფილება

კვლევამ აჩვენა, რომ სკოლის მოსწავლე გოგოები მენსტრუაციასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, ძირითადად, მეგობრებისგან, ოჯახის წევრებისგან (როგორც წესი დედა და/ან და, ზოგჯერ - ბებია) და ინტერნეტის საშუალებით იღებენ. როგორც გამოჩნდა, ცოდნის გადაცემის თვალსაზრისით ყველაზე ნაკლები როლი სკოლას აკისრია. გოგოების დიდ ნაწილს მენსტრუაციის შესახებ გარკვეული ტიპის ინფორმაცია მენარქემდე ჰქონდა. მათი დიდი ნაწილისთვის ინფორმაციის წყარო იყვნენ ის მეგობრები, ან ოჯახის წევრები, რომელთაც უფრო ადრე დაეწყოთ მენსტრუაციული ციკლი; გარდა ამისა, ინფორმაცია მენსტრუაციის შესახებ, კვლევის რესპონდენტების ნაწილისთვის შემთხვევით გახდა ცნობილი, როდესაც მშობლები, ან ოჯახის სხვა წევრები ამ თემაზე საუბრობდნენ. მხოლოდ გოგოების მცირე ნაწილს მიაჩოდა მშობელმა ინფორმაცია მიზანმიმართულად.

როგორც უკვე აღინიშნა, კვლევამ აჩვენა, რომ მენსტრუაციასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით, სასკოლო განათლება მინიმალურ როლს

თამაშობს. გოგოების პრაქტიკულად აბსოლუტურმა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ბიოლოგიის გაკვეთილზე მენსტრუაციის თემა ან საერთოდ გამოტოვეს, ან ზედაპირულად გაიარეს. რესპონდენტების მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილმა აღნიშნა, რომ მენსტრუაციის შესახებ გაკვეთილი, სხვა გაკვეთილების მსგავსად ჩაუტარდათ.

„ჩვენთან [კლასში] ამ გაკვეთილზე არც გავჩერებულვართ. ასე გვითხრა, შემდეგი გაკვეთილი უფრო მნიშვნელოვანიაო და სხვა გაკვეთილზე გადავედით“. - სკოლის მოსწავლე გოგო ფოკუს ჯგუფიდან, თბილისი.

„მასწავლებელი გადაახტა ამ თავს. პროტესტის გრძნობა გამიჩნდა და ჩემით წავიკითხე და მივხვდი, რომ მასწავლებლის ახსნილს უფრო კარგად გავიგებდი, ვიდრე ჩემი წაკითხულით გავიგე, იმიტომ რომ ბევრი ტერმინი ვერ გავიგე და ბევრი შეკითხვა გამიჩნდა. თქვა [მასწავლებელმა], რომ ამ თავს მე არ ავხსნი და თქვენით წაკითხეთო“. - ფოკუს ჯგუფის მონაწილე ბათუმიდან.

აქვე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სკოლაში ჩატარებულ გაკვეთილსა და გოგოების ცოდნას შორის რაიმე ტიპის კავშირი, კვლევის ფარგლებში არ გამოვლენილა. აღსანიშნავია ისიც, რომ კვლევის თითოეულმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ მენსტრუაციის თემის სკოლაში სწავლების დრო დაგვიანებულია. ამ დროს, გოგოების პრაქტიკულად აბსოლუტურ უმრავლესობას მენსტრუაციული ციკლი უკვე დაწყებული აქვს. ამიტომ, ფიქრობდნენ, რომ რომ ეს საკითხები უფრო დაბალ კლასებში უნდა ისწავლებოდა, მაშინ, როდესაც გოგოების დიდ ნაწილს მენსტრუაციული ციკლი ჯერ არ დასწყება. სკოლის მოსწავლე რესპონდენტებმა, უკმაყოფილება გამოთქვეს ბიოლოგიის სახელმძღვანელოში მენსტრუაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიმართაც და მწირად და არასრულად მოიხსენიეს.

„სკოლაში ისეთ დროს ისწავლება, როცა გოგოების უმრავლესობას უკვე აქვს მენსტრუაცია, სადაც მე-9 კლასში ვისწავლეთ [ზუსტად ვერ იხსენებს, მე-8 კლასი იყო, თუ მე-9], როცა 14 წლისები ვიყავით. ასევე, არასრულყოფილად არის გადმოცემული ინფორმაცია, მენსტრუაცია ერთი აბზაცით არის მოხსენიებული, კაცისა და ქალის ჰორმონებთან ერთად სასხვათაშორისოდ წერია, მეტი არაფერი, კვერცხუჯრედთან და განაყოფიერებასთან ერთად“. - სკოლის მოსწავლე გოგო თბილისიდან.

აღსანიშნავია, რომ განსხვავებული აზრისანი არიან მასწავლებლები (როგორც ბიოლოგიის, ასევე სხვა საგნის პედაგოგებმა). მათმა დიდმა ნაწილმა აღნიშნა, რომ ბიოლოგიის სახელმძღვანელოში არსებული მასალა საკმარისია და სრულად ითვალისწინებს გოგოებისთვის საჭირო მნიშვნელოვან ინფორმაციას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, გოგობმა უკმაყოფილება გამოთქვეს ბიოლოგიის მასწავლებლების მიერ ჩატარებული გაკვეთილის (მენსტრუაციის შესახებ) ხარისხის მიმართაც. მათ ისაუბრეს იმის შესახებ, რომ მენსტრუაციის შესახებ გაკვეთილის ჩატარებას კლასში ბიჭების სიცილის ან/და არასასურველი კომენტარების გამო, მასწავლებლები ხშირად ვერ ახერხებენ. მათი აზრით, პედაგოგებს აკლიათ ცოდნა და უნარები საიმისოდ, რომ სრულყოფილად და მშვიდად ჩაატარონ ეს გაკვეთილები. აღსანიშნავია, რომ მასწავლებლების აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით, ორად გაიყო. ნაწილმა გაიზიარა მოსწავლეების შეხედულება, ნაწილმა კი ამის მიზეზად სკოლის მოსწავლე ბიჭების მიერ ამ თემაზე ინფორმაციის მისაღებად ნაკლები მზაობა დაასახელა. ამ საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, კვლევის ყველა რესპონდენტმა (როგორც მასწავლებელმა, ისე მოსწავლემ) აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით მასწავლებლების ცოდნა და უნარები არასაკმარისია და მათ გაუმჯობესებაზე ჯანდაცვის და/ან განათლების სამინისტრო უნდა ზრუნავდეს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ ინფორმირების მნიშვნელობასა და მის საჭიროებაზე გაამახვილეს ყურადღება იმ მასწავლებლებმაც, რომელთა კომპეტენციაშიც მენსტრუაციაზე საუბარი, საგნის შინაარსიდან გამომდინარე, არ შედის. აღსანიშნავია ის, რომ მენსტრუაციასთან დაკავშირებულ ტრენინგს კვლევის მონაწილე არცერთი რესპონდენტი არ დასწრებია (არც მასწავლებელი და არც მოსწავლე).

„თავისუფლად ვგრძნობდი თავს [მოსწავლეებთან მენსტრუაციაზე საუბრის დროს], უბრალოდ ერთადერთი რაღაც მხოჭავდა, რომ ბოლომდე კომპეტენტური ვყოფილიყავი, ხომ ხვდებით? სურვილი გამიჩნდა, რომ მეტი ინფორმაცია მექონოდა ამ თემასთან დაკავშირებით, თორე არანაირი კომპლექსი არ მექონია. ერთადერთი ეგ განცდა მექონდა, რომ რამე უფრო მნიშვნელოვანი არ იყოს, რომ მე არ ვიცოდე და კარგი იქნება, რომ ვიცოდე და მათ მივაწოდო ინფორმაცია“. - ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი (კლასის დამრიგებელი) თბილისიდან.

„ძალიან დიდი ძალისხმევა დამჭირდება იმისთვის, რომ ჩემი სათქმელი სწორად მივიტანო მათთან. იმიტომ, რომ ყველა თემაზე დიდხანს ვფიქრობ, როგორ გადავცე სათქმელი და მირჩევნია, რომ პრობლემები თავიდან ავირიდო და ზედაპირული ინფორმაცია მივაწოდო ამ კონკრეტულ თემებთან დაკავშირებით“. - სამოქალაქო განათლების პედაგოგი.

„აუცილებელია მასწავლებლებს ჰქონდეთ ტექნიკა, რომლითაც ამ სირცხვილს დაძლევენ და ისაუბრებენ ამ თემაზე. ვფიქრობ, რომ განათლების სამინისტრო, ან თვითონ სკოლა უნდა ზრუნავდეს ამაზე. სკოლებს აქვთ ამის რესურსი, რომ თუნდაც ფასიანი ტრენინგი

[გულისხმობს, ტრენერი რომ დაიქირაოს სკოლამ და ჰონორარი გადაუხადოს] ჩაატარონ. ეს ტექნიკა, რომ ბავშვებთან უხერხულობის გრძნობა არ გქონდეს, ამას უნდა ფლობდეს მასწავლებელი აუცილებლად“ - ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი (კლასის დამრიგებელი) აჭარიდან.

კვლევის მონაწილე გოგოებმა, მათთვის სასურველი ინფორმაციის ორი ძირითადი წყარო დაასახელეს (საიდან უნდა იღებდნენ ინფორმაციას): სკოლა და მშობლები. მათი აზრით, სკოლაში მოსწავლე უნდა იღებდეს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ინფორმაციას მენსტრუაციასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე.

„როგორც ხელების დაბანასა და ხელების ჰიგიენას გასწავლიან, ისე უნდა გასწავლიდნენ მენსტრუაციის ჰიგიენასაც. როგორც კბილების მოუვლელობა არის ცუდი, ისე შენი თავის მოუვლელობა არის ცუდი, მაგ მომენტში, და როგორც ისინი ისწავლება, ისე უნდა ისწავლებოდეს შენი თავის მოვლა, პაკეტების გამოცვლა და ა.შ.“ - სკოლის მოსწავლე გოგო კახეთის ერთ-ერთი სოფლიდან.

როგორც აღვნიშნეთ, ინფორმაციის მეორე, ასევე მნიშვნელოვან წყაროდ გოგოებმა მშობლები დაასახელეს, რომლებიც, გოგოებისთვის ამ ასაკში საუკეთესო მხარდამჭერების როლს ასრულებენ. ინფორმირების თვალსაზრისით, სკოლასთან ერთად მშობლების მნიშვნელობაზე გაამახვილეს ყურადღება მასწავლებლებმაც. ამასთან, პედაგოგებმა ამ პროცესებში სკოლის ექიმის/ექთნის და ფსიქოლოგის მონაწილეობაზეც ისაუბრეს.

კვლევის შედეგები მენსტრუაციასთან და ზოგადად, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხებთან დაკავშირებულ ტრენინგებზე სკოლის მოსწავლეების დასწრების თვალსაზრისითაც საინტერესო იყო. როგორც აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ სკოლის მოსწავლეებს არაფორმალურ გარემოში ხშირად უტარდებათ ტრენინგები სხვადასხვა თემაზე, კვლევის არცერთ მონაწილეს მენსტრუაციასა და სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სხვა საკითხებზე ტრენინგების დასწრების გამოცდილება არ ჰქონია. საინფორმაციო შეხვედრა, რომელიც კვლევის მონაწილე გოგოების უმრავლესობისთვის იყო მისაწვდომი, სკოლებში კერძო კომპანიების მიერ ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრები აღმოჩნდა, რომლებიც გოგოებისვე აზრით, მეტად მნიშვნელოვანი და საჭიროა მენსტრუაციის ჰიგიენასთან დაკავშირებული ინფორმაციის მისაღებად.²⁶

²⁶ აღნიშნული შეხვედრები მრავალი წელია ტარდება სკოლებში. მენსტრუაციული ჰიგიენის პროდუქტების კომპანიის წარმომადგენლები ხვდებიან სკოლის მოსწავლე გოგოებს და აწვდიან ინფორმაციას პროდუქტის მოხმარებისა და მენსტრუაციული ჰიგიენის წესების დაცვის შესახებ.

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ ინფორმაცია, რომელსაც გოგოები ფლობენ, მონაწილეთა დიდი ნაწილისთვის არასაკმარისია. ასევე აღნიშნეს, რომ რაც უფრო მეტი დრო გადის, უფრო მეტი პასუხგაუცემელი კითხვა უჩნდებათ მენსტრუაციასთან დაკავშირებით. ინფორმაციის ნაკლებობა კი, გარკვეულწილად უარყოფითად აისახება მათ ჯანმრთელობაზე, მენსტრუაციის გარშემო არსებულ სტიგმასა და გოგოების მიმართ დისკრიმინაციულ დამოკიდებულებაზე.

„ეს ზოგადად უნდა ისწავლებოდეს, ძალიან საჭიროა, იმდენად საჭიროა, რომ ვერც კი აღვწერ. ძალიან მნიშვნელოვანია. ვხვდები, რომ ძალიან ბევრი რამ არ ვიცი. ზუსტად ეს უცოდინრობა ხდება დაბუღინების და დაცინვის მიზეზი“. - სკოლის მოსწავლე გოგო თბილისიდან.

„ამ ყველაფრით ცხოვრობ და, როდესაც მენსტრუაცია შემოდის შენს ცხოვრებაში, 14 წლის ასაკში იქნება, 15-ის თუ 16-ის, ეს ხდება შენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. რაზეც ინფორმაცია აუცილებლად უნდა გქონდეს, იმიტომ, რომ შეიძლება ვერ მიაქციო შენს თავს ყურადღება და არ გქონდეს სათანადო ინფორმაცია, შეიძლება რამე პრობლემა შეგექმნას და არ იცოდე და შენი ჯანმრთელობისთვის იქნება საზიანო. მოკლედ, ამაზე უნდა გქონდეს ინფორმაცია, როგორც გული რომ გიცემს და იცი რა შედეგები უნდა მოყვეს ამ ყველაფერს, ისევე უნდა იცოდე მენსტრუაცია, რომ გაქვს, რატომ გაქვს და რა შედეგები შეიძლება მოყვეს ამ ყველაფერს“. სკოლის მოსწავლე გოგო კახეთის ერთ-ერთი სოფლიდან.

ინფორმაციის მიღების ბარიერები

კვლევამ აჩვენა, რომ გოგოებისთვის მენსტრუაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღების ძირითადი ბარიერი, ზოგადად, საზოგადოებასა და პროფესიულ წრეებში ინფორმაციის ნაკლებობით არის განპირობებული. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, მენსტრუაციასთან დაკავშირებული სტიგმისა და ტაბუს შედეგია. ისინი ამბობდნენ, რომ კითხვას როდესაც სვამენ მშობლებთან, მეგობრებთან, ან როდესაც სკოლაში უხსნიან გაკვეთილს, მენსტრუაციასთან დაკავშირებული ინფორმაცია არასაკმარისია და ასევე, ბევრ პასუხგაუცემელ კითხვას ბადებს მათში. გოგოების აზრით, საგაკვეთილო პროცესში მენსტრუაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის არასათანადო სწავლება, ერთი მხრივ, მასწავლებლების ცოდნისა და უნარების ნაკლებობით, ხოლო მეორე მხრივ, სექსუალური განათლების მიმართ საზოგადოების შიშით და უარყოფითი დამოკიდებულებით არის გამოწვეული.

„სექსუალური განათლების წინააღმდეგ რომ გამოვიდნენ და ერთი ამბავი ატეხეს, რომ ქართველობას გვართმევენ და ა.შ. ამას ისეთი გამოხმაურება მოჰყვა, რომ რავი რა... ხალხი გამოვიდა და აპროტესტებდნენ. რომ

დავფიქრდეთ და ჩვენი სიტუაციიდან რომ გადმოვხედოთ და დავფიქრდეთ, რა საწყალ მდგომარეობაში ვიყავით მაგ დროს, ძალიან ჩვეულებრივი ამბავი იქნებოდა რომ სკოლაში აეხსნათ ეს ყველაფერი მასწავლებელს და ეთქვა რომ ეს ესეა [გულისხმობს მენსტრუაციას] არაფერი არ არის საგანგაშო“. ფოკუს ჯგუფის მოსწავლე ბათუმიდან.

მეორე მნიშვნელოვანი ბარიერი ქართულ ენაზე მენსტრუაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის სიმწირეა, როგორც ინტერნეტ სივრცეში, ისე სახელმძღვანელოებში. გოგოების ნაწილმა აღნიშნა, რომ იმ ასაკში, როდესაც გოგოებს მენსტრუაციული ციკლი ეწყებათ, მათ უმრავლესობას არ აქვს ინგლისური ენის საკმარისი ცოდნა იმისთვის, რათა უცხოურ ლიტერატურაში ამოიკითხოთ ინფორმაცია, ხოლო ქართული ლიტერატურა ამ მიმართულებით მწირია და ხშირად არასწორი ინფორმაციის შემცველიც, რომლის ამოცნობის უნარიც მოსწავლეებს არ გააჩნიათ (მათივე შეფასებით). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ონლაინრესურსებიდან ინფორმაციის მიღების შესაძლებლობასთან დაკავშირებით, მოსწავლეებისგან განსხვავებული წარმოდგენა ჰქონდათ მასწავლებლებს. პედაგოგების დიდი ნაწილის აზრით, ინტერნეტზე წვდომის გაზრდამ მოსწავლეებისთვის ინფორმაციის მიღების შესაძლებლობები გაამარტივა და გააფართოვა. შესაბამისად, ისინი მენსტრუაციასთან დაკავშირებულ უამრავ ინფორმაციას ინტერნეტიდან იღებენ და ამ თვალსაზრისით ცოდნის დეფიციტი არ აქვთ. ამასთანავე, აღნიშნავდნენ, რომ მოსწავლეებს სანდო და არასანდო წყაროების ერთმანეთისგან გარჩევაც შეუძლიათ და ამ კუთხით, ვერანაირ საშიშროებას ვერ ხედავდნენ.

კვლევამ აჩვენა, რომ მენსტრუაციასთან დაკავშირებული ინფორმაციისა და სამედიცინო სერვისების მიღების ერთ-ერთი ბარიერი, შესაძლოა, ოჯახში ზრდასრული ქალის (დედა, ბებია) არყოფნაც იყოს. კერძოდ, კვლევის მონაწილე რამდენიმე გოგომ, რომელთა დედებიც მათთან ერთად არ ცხოვრობდნენ, აღნიშნეს, რომ უჭირთ მენსტრუაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე მამასთან და ძმებთან საუბარი. ერთმა რესპონდენტმა თქვა, რომ მენსტრუაციასთან დაკავშირებული ძლიერი ტკივილი აქვს, და გინეკოლოგთან უნდა მისვლა, მაგრამ ვერ მიდის, რადგან კაცთან (იგულისხმება ძმა და მამა) ერთად კლინიკაში მისვლა ერიდება. საქართველოში არსებული მიგრაციული პროცესების, ასევე, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ბევრი ბავშვი, შესაძლოა, მართლაც მხოლოდ მამასთან ერთად იზრდებოდეს, ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ ეს გარემოება მენსტრუაციასთან დაკავშირებული ინფორმაციისა და შესაბამისი საჭიროებების დაკმაყოფილების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სოციალურ-კულტურული ბარიერი შეიძლება იყოს.

მენსტრუაციული ჰიგიენის მართვა

მენსტრუაციულ პროდუქტებზე წვდომა და ბარიერები (გეოგრაფიული, ფინანსური, კულტურული)

კვლევამ აჩვენა, რომ სკოლის მოსწავლე გოგოების აბსოლუტური უმრავლესობა, მენსტრუაციის დროს ერთჯერადი მოხმარების ჰიგიენურ საფენებს იყენებს. როგორც თავად რესპონდენტებმა აღნიშნეს, ჰიგიენურ საფენებზე მათი არჩევანი იმ გარემოთია განპირობებული, რომელშიც ცხოვრობენ. კერძოდ, კითხვაზე, თუ რატომ იყენებენ მხოლოდ საფენებს და არა სხვა ჰიგიენურ საშუალებებს, გოგოების ნაწილმა უპასუხა, რომ სხვა ჰიგიენური პროდუქტების შესახებ არ იცოდნენ, რადგან მშობლებმა მხოლოდ მათი გამოყენების შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია და მათ გარშემოც, პრაქტიკულად ყველა მხოლოდ საფენებს იყენებს, შესაბამისად მოსწავლეების თქმით, მათ არჩევანის გაკეთების საშუალება არც ჰქონიათ.

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ გოგოების გადაწყვეტილებაზე გავლენას ახდენს საზოგადოებაში არსებული კულტურული ფაქტორები (არ იყენებენ ტამპონს, რადგან ჰგონიათ, რომ მისი გამოყენება სექსუალური ცხოვრების დაწყებამდე არ შეიძლება).²⁷ ასევე, მათ გარშემო არსებული მითები და არასწორი ინფორმაცია (მაგალითად, კვლევის რამდენიმე მონაწილემ გაიხსენა იმ ადამიანების ისტორია, რომლებიც მრავალჯერადი მოხმარების საფენებს მხოლოდ იმიტომ იყენებენ, რომ მათი ინფორმაციით, ერთჯერადი ჰიგიენური პაკეტები ჯანმრთელობისთვის საზიანოა).²⁸

შედეგებმა ცხადყო, რომ გოგოების გადაწყვეტილებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ჰიგიენურ პროდუქტებზე გეოგრაფიული და ფიზიკური (მენსტრუაციის ჭიქასთან დაკავშირებით) წვდომა. აღსანიშნავია, რომ, კვლევის ფარგლებში, გეოგრაფიული წვდომის პრობლემა თბილისსა და დიდ ქალაქებში არ გამოვლენილა, თუმცა გამოვლინდა მიმდებარე (მათ შორის, თბილისთან ახლოს მდებარე) სოფლებში. მაგალითად, კვლევაში მონაწილე გოგოების ნაწილმა აღნიშნა, რომ მათ სოფელში აფთიაქი არ იყო, ან მენსტრუაციული ჰიგიენური საშუალების ყიდვა, სოფლის მასშტაბით, მხოლოდ ერთ მაღაზიაში იყო შესაძლებელი. ამას გარდა, სოფლების ნაწილში ჰიგიენურ საშუალებებზე ფიზიკური წვდომის პრობლემაც იკვეთება. კერძოდ, გოგოებმა აღწერეს შემთხვევები, როდესაც მათი სოფლის მაღაზიაში კონკრეტულად იმ ჰიგიენურ საშუალებებს ვერ ყიდულობდნენ (არ იყიდება), რომელსაც თავად იყენებდნენ. მენსტრუაციულ ჰიგიენურ პროდუქტებზე წვდომაზე საუბრისას, მნიშვნელოვანია

²⁷ ბუნებრივია, ამ ნაწილში კულტურული ფაქტორის გარდა, ინფორმაციის დეფიციტიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს. კერძოდ, აკუთან დაკავშირებული მითები.

²⁸ მონაწილეებმა დაასახელეს ჯანმრთელობის ისეთი პრობლემა, როგორცაა ავთვისებიანი სიმსივნე.

აღინიშნოს, რომ გამოიკვეთა შემთხვევები, რომელმაც აჩვენა, რომ მენსტრუაციის ჰიგიენურ პროდუქტებზე ფიზიკური და გეოგრაფიული წვდომის პრობლემა, მათ შორის, დიდ ქალაქებშიც (თბილისის გარდა), გაჩნდა კარანტინის დროსაც.

კვლევის მონაწილეთა (როგორც მოსწავლეებმა, ისე მასწავლებლებმა) გარკვეულმა ნაწილმა აღნიშნა, რომ იცნობდნენ ადამიანებს, რომლებიც ფინანსური პრობლემების გამო, მენსტრუაციის დროს მრავალჯერადი მოხმარების საფენებს (ნაჭრებს, მარლას) იყენებდნენ. აღსანიშნავია, რომ კვლევის ყველა მონაწილემ მიუთითა ჰიგიენური საშუალებების ფასისა და მისი საჭიროების არაპროპორციულ თანაფარდობაზე. მათი აზრით, მენსტრუაციის ჰიგიენური საშუალებები იმ აუცილებელი პროდუქტების სიაში შედის, რომელზე წვდომაც ადამიანების ფუნდამენტური საჭიროებაა და ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, მასზე წვდომის ფინანსური ბარიერის პრობლემის საკითხი მწვავედ დგას საზოგადოების ფართო მასების წინაშე, მიუხედავად იმისა, ეს აშკარად ჩანს, თუ არა. კვლევის ყველა მონაწილემ აღნიშნა, რომ ეს საკითხი საკმაოდ ტაბუირებული თემაა, ამიტომ ღიად არავინ საუბრობს, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ პრობლემა ამ მიმართულებით ქვეყანაში არ არსებობს.

„საკვებზე წინ რომ დგას ისეთი აუცილებელი და მნიშვნელოვანი პროდუქტია. ის, რაც ხელმისაწვდომია იმის ხარისხი არ ვარგა, რადგან ხელმისაწვდომობაზე ვსაუბრობთ, ხარისხიანზე უნდა მექონდეს ხელმისაწვდომობა, თორემ ის რასაც ვერ ვიყენებ, რათ მინდა“. სკოლის მასწავლებელი.

სკოლაში არსებული გარემოს გავლენა მენსტრუაციული ჰიგიენის მართვაზე

კვლევის ამ ნაწილში შევისწავლეთ სკოლაში არსებული გარემოს შესაბამისობა იმ საჭიროებებთან, რომლებიც გოგოებს მენსტრუაციის დროს აქვთ. კერძოდ, გამოვიკითხეთ ინფორმაცია სკოლებში სველი წერტილების მოწყობაზე, საგაკვეთილო პროცესიდან გოგოების გაშვების პრაქტიკასა და სკოლაში მენსტრუაციულ პროდუქტებზე წვდომაზე (ჰიგიენური საშუალებები, ანალგეზიური საშუალებები).

უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხული, როგორც მოსწავლეების, ისე მასწავლებლების შეფასებით, სკოლების უმრავლესობაში (როგორც ქალაქში, ისე სოფლად) სველი წერტილების ინფრასტრუქტურა იმდენად გაუმართავია, რომ მათი სარგებლობის დროს სერიოზული დისკომფორტი იქმნება, არა მხოლოდ მენსტრუაციის პერიოდში, არამედ მენსტრუაციული ციკლის სხვა დღეებშიც. ამის

გამო, ისინი (როგორც მოსწავლეები, ისე მასწავლებლები) სკოლის სველი წერტილებით სარგებლობას თავს ხშირად არიდებენ და სადაც ეს შესაძლებელია, საჭიროების შემთხვევაში, სახლის ტუალეტით სარგებლობენ (თუ სკოლა ახლოს არის მოსწავლის ან მასწავლებლის სახლთან). ამის ერთ-ერთი მაგალითია, მასწავლებლის მიერ ინტერვიუს დროს მოყოლილი ისტორია, რომლის დროსაც აღნიშნა, რომ სკოლა სახლთან ახლოს მდებარეობის გამო შეარჩია და დასვენებაზე, როდესაც საპირფარეოთი სარგებლობით საჭიროების წინაშე დგება, სახლში მიდის. გარდა ამისა, პრობლემის დემონსტრირების კიდევ ერთი მაგალითია მოსწავლის მიერ ნაამბობი ისტორია იმასთან დაკავშირებით, რომ სკოლის ტუალეტით არასოდეს სარგებლობს და მენსტრუაციის დროს, როდესაც ტუალეტით სარგებლობა აუცილებელი საჭიროება ხდება (მაგალითად, მენსტრუაციული ჰიგიენის საშუალების გამოცვლის დროს) სახლში მიდის. სახლი კი სხვა სოფელში მდებარეობს და, ბუნებრივია, იმავე დღეს სკოლაში დაბრუნებას ვეღარ ახერხებს.

მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა შემდეგ პრობლემებზე გაამახვილეს ყურადღება: სკოლის ტუალეტებში არსებული არაჰიგიენური პირობები, ხელების დაბანის შესაძლებლობის არქონა და ხშირად საპნის არარსებობა, ზოგიერთ სკოლაში - ონკანების ხშირი გაუმართაობა, კაბინებში კარის, ან კარის საკეტის არქონა და სხვ. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელის გამო, მენსტრუაციის დღეებში პაკეტის გამოცვლის დროს, გოგოების თქმით, დარღვეულია მათი პრივატულობა, რის გამოც სერიოზული დისკომფორტი ექმნებათ. გარდა ამისა, სკოლის მოსწავლეებისთვის არაკომფორტულია კაბინებში ნაგვის ურნების არარსებობაც (ბევრი სკოლის შემთხვევაში) და დასვენებაზე ტუალეტების წინ არსებული რიგები.

„კაბინები ისეთია, რომ პირადი სივრცის უსაფრთხოებას არ ქმნის და შეიძლება დაგინახონ. მიჩვეულები ვართ იმას, რომ არეული სიტუაციაა. ადრე, სანამ იმ ერთი კაბინის ჩასაკეტ კარს გააკეთებდნენ [ადრე არცერთი კაბინა არ იკეტებოდა, ეხლა ერთი კაბინის საკეტი გააკეთეს და მუშაობს] კლასელი მიგვყავდა ხოლმე, მეგობარი, რომელიც გარეთ გველოდებოდა“.
სკოლის მოსწავლე გოგო თბილისიდან.

„ხშირად ვარიდებ ხოლმე თავს სკოლის ტუალეტში შესვლას. ყოველთვის, როცა შემიძლია, რომ სახლში ავიდე და დღის ბოლოა უკვე, ან სავაჭრო ცენტრში შემიძლია გადავიდე, ვამჯობინებ, რომ სკოლის ტუალეტში არ შევიდე“. სკოლის მოსწავლე გოგო თბილისიდან.

სკოლაში სველი წერტილების არასათანადო მოწყობის გარდა, პრობლემური აღმოჩნდა გოგოების მიერ მენსტრუაციის ჰიგიენის მართვასთან დაკავშირებული გარკვეული საჭიროებების დაკმაყოფილების საკითხი. მაგალითად, როგორც კვლევამ აჩვენა, ხშირია შემთხვევები, როდესაც მასწავლებლები სკოლის

მოსწავლეებს საგაკვეთილო პროცესიდან არ უშვებენ და ამის მიზეზად განათლების სამინისტროს მოთხოვნას (რეგულაციას) ასახელებენ. გოგოებმა აღნიშნეს, რომ ხშირად, მენსტრუაციის პერიოდში, მაშინ როდესაც პაკეტის გამოცვლის აუცილებლობის წინაშე დგებიან, დამატებითი ახსნა-განმარტებები სჭირდებათ, რომ საგაკვეთილო პროცესიდან რამდენიმე წუთით გასვლის ნება დართონ. მათივე თქმით, ეს სერიოზულ დისკომფორტს უქმნის გოგოებს და ზოგჯერ მთელი რიგი პრობლემების მიზეზიც ხდება.

„საგაკვეთილო პროცესიდან გასვლა არ შეიძლება, განათლების სამინისტროს კანონია ეს და არ გვიშვებენ თუ გამოუვალი მდგომარეობა არ არის და მასწავლებელი ხვდება, რომ საჭიროა აუცილებლად გასვლა, უშვებენ. მასწავლებელთან მიდის ეს მოსწავლე ისე, რომ ეუბნება და კლასი ვერ იგებს და ის უშვებს. ყოფილა შემთხვევა, რომ მოერიდათ თქმა და დაესვართ ტანსაცმელი“. სკოლის მოსწავლე გოგო აჭარის რეგიონის ერთ-ერთი სოფლიდან.

სკოლის მოსწავლეებმა ასევე ისაუბრეს გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჰიგიენური და ტკივილგამაყუჩებელი საშუალებების მისაწვდომობაზე სკოლაში. კვლევის ყველა მონაწილემ აღნიშნა, რომ ტკივილგამაყუჩებლები (რომელიც მოსწავლეების დიდ ნაწილს სჭირდება მენსტრუაციის დროს) სკოლაში მისაწვდომი არ არის და ექიმები ნებისმიერი ტიპის ტკივილის დროს ნახშირს,²⁹ ან უკეთეს შემთხვევაში - ნო-შპას³⁰ სთავაზობენ. როგორც თავადვე აღნიშნეს, ამის გამო, ტკივილი ხშირად ხდება გაკვეთილების დროს სკოლიდან წასვლის მიზეზი.

მოსწავლეების თქმით, სკოლების ნაწილი აღჭურვილია ერთჯერადი ჰიგიენური საშუალებებით, რომლით სარგებლობაც გოგოებს გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში შეუძლიათ. ეს ჰიგიენური საშუალებები (იქ სადაც მისაწვდომია), როგორც წესი, სკოლის ექიმთან/ექთანთან, ან მანდატურთან ინახება და ხშირად, გოგოების გარკვეული ნაწილი სარგებლობს კიდევ. აღსანიშნავია, რომ კვლევის პროცესში, ამ საკითხთან დაკავშირებით, რამდენიმე პრობლემური საკითხი გამოიკვეთა, რაზეც თავად მოსწავლეებმა გაამახვილეს ყურადღება. მათი თქმით, ის ჰიგიენური საშუალებები, რომლებზეც სკოლაში ხელი მიუწვდებათ, დაბალი ხარისხისაა, რის გამოც, ხშირად, მათ გამოყენებას ვერ ახერხებენ. ამასთან, მოსწავლეების ნაწილმა აღნიშნა, რომ მათ სკოლაში მასწავლებელი/ექთან

²⁹ მედიკამენტი, რომელიც მუცლის შებერილობის და საჭმლის მონელებასთან დაკავშირებული პრობლემების დროს გამოიყენება.

³⁰ სპაზმის მომხსნელი საშუალება, რომელიც ზოგჯერ მენსტრუაციის ტკივილის მოსახსნელადაც გამოიყენება. თუმცა, ხშირად, ამ მიზნით მისი გამოყენება არაეფექტიანია. ამასთან, მისი გამოყენების უსაფრთხოება დამტკიცებული არ არის 12 წლის ასაკამდე ბავშვებში.

მამრობითი სქესის არის, არსებული სოციალური სტიგმის გამო კი, ისინი კაცებთან ჰიგიენური პროდუქტის სათხოვნელად მისვლას ვერ ახერხებენ. გარდა ამისა, რამდენიმე მოსწავლემ ისაუბრა იმაზე, რომ არაკომფორტულია, როდესაც საპირფარეოში შედიხარ, მერე გამოდიხარ ეძებ ექიმს/ექთანს, ან მანდატურს, სთხოვ პაკეტს და მერე ისევ ბრუნდები ჰიგიენური საშუალების გამოსაცვლელად. ამაში იკარგება დრო და ხშირად, გაკვეთილზე დაგვიანების და მასთან დაკავშირებული პრობლემების მიზეზიც ხდება. გარდა ამისა, გოგოები, ხშირად, მენსტრუაციული ჰიგიენური პროდუქტის გამოსაცვლელად, თანაკლასელთან/მეგობართან ერთად მიდიან, იმისთვის, რათა უსაკეტო კაბინის კარი დაუჭირონ და ჰიგიენური საშუალების გამოსაცვლელად შედარებით პრივატული და უსაფრთხო სივრცის შექმნაში დაეხმარონ.

გოგოების აბსოლუტურმა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ სკოლაში ჰიგიენური საშუალებების არსებობა აუცილებელია და აღნიშნავდნენ, რომ სკოლაში ჰიგიენურ პროდუქტებზე წვდომა გაცილებით უფრო მარტივი უნდა იყოს, ვიდრე ეს ამჟამად არის შესაძლებელი. მაგალითად, მათი გამოყენება მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში კი არ უნდა შეიძლებოდეს, არამედ თავისუფლად უნდა სარგებლობდნენ ყოველთვის. მათი თქმით, ეს განსაკუთრებით დაეხმარება იმ გოგოებს, რომლებსაც პაკეტების ყიდვის ფინანსური საშუალება არ აქვთ. სკოლის მოსწავლეებმა ასევე აღნიშნეს, რომ ზემოაღწერილი დისკომფორტის თავიდან ასაცილებლად, კარგი იქნებოდა, თუ მენსტრუაციული ჰიგიენის საშუალებები ტუალეტებში იქნებოდა განთავსებული - „მაგალითად, იდგება აპარატი, საიდანაც ჩვეულებრივად შეძლებ აღებას“.

დასკვნა

კვლევამ ცალსახად დაადასტურა, რომ საზოგადოებაში, რომელშიც სკოლის მოსწავლე გოგოები ცხოვრობენ და სწავლობენ, არსებობს მენსტრუაციასთან დაკავშირებული ძლიერი სტიგმა. კვლევამ ასევე დაადასტურა, რომ სტიგმა წარმოშობს მენსტრუაციასთან დაკავშირებულ ტაბუს, რაც შედეგად იწვევს გოგოების სირცხვილს, მათი როგორც ფიზიკური, ისე, მენტალური ჯანმრთელობის გაუარესებას და განათლებაზე ბიჭი მოსწავლეების თანასწორად წვდომის ხელყოფას.

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ საჯარო სკოლებში არსებული ვითარება არის მტრული, გარემო კი - არასენსიტიური - მენსტრუაციის მქონე ადამიანებისთვის, რადგან სასწავლო პროცესში არ არის გათვალისწინებული მენსტრუაციასთან დაკავშირებული სპეციფიკური საჭიროებები.

კვლევამ ასევე ცალსახად დაადასტურა, რომ საქართველოს საჯარო სკოლები არ ასრულებს ცოდნის სისტემური გადამცემი აქტორის როლს სექსუალურ და

რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ განათლებასთან მიმართებით, და რიგ შემთხვევებში, სკოლაში მენსტრუაციასთან დაკავშირებული ცოდნის გადაცემის არსებული პრაქტიკები სტიგმის მაწარმოებელი/წამახალისებელი გარემოებაც კი ხდება. სკოლის მასწავლებლები არ არიან მზად იმისთვის, რათა გადაუმზადებლად და შესაბამისი უნარების გაუმყარებლად, დამოუკიდებლად გაუმკლავდნენ მენსტრუაციასთან დაკავშირებული სტიგმის შემცირების ამოცანას. მეტიც, მათთვის ეს სტიგმა არ არის სახელდებული პრობლემა და ისინი არ არიან ინფორმირებულნი იმ დამაზიანებელი გავლენების შესახებ, რასაც სტიგმა ახდენს ქალებისა და გოგოების ცხოვრების სხვადასხვა ასპექტზე.

მენსტრუაციის შესახებ ინფორმაცია მე-8 კლასის ბიოლოგიის სახელმძღვანელოში, ქალის რეპროდუქციული სისტემის თავში, რამდენიმე აბზაცის სახით არის მოწოდებული, რომელიც, ინფორმირების თვალსაზრისით, არასრულყოფილი, მცდარი და მასტიგმატიზებელია. მასწავლებლები ხშირად ტოვებენ ამ თავს, ან ზერელედ გადიან, რასაც მოსწავლეების უმრავლესობა და პედაგოგების ნაწილიც ადასტურებს. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეების ინფორმირებულობის დონესა და სკოლაში ბიოლოგიის მასწავლებლის მიერ მენსტრუაციის შესახებ გაკვეთილის ახნას შორის, რაიმე სახის კავშირი, კვლევის ფარგლებში არ გამოვლენილა. პედაგოგების ცოდნისა და უნარების ნაკლებობა, სახელმძღვანელოებში არსებულ ინფორმაციასთან ერთად, სასკოლო პროცესში მენსტრუაციასთან დაკავშირებული ცოდნის წარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბარიერია.

კვლევამ აჩვენა, რომ მენსტრუაციის შესახებ ინფორმაციის დონე საკმაოდ დაბალია, როგორც მოსწავლეებში, ისე მასწავლებლებში. ამასთანავე, დიდ ნაწილს უჭირს მენსტრუაციის ფიზიოლოგიის არსის გააზრება. ცოდნა, ძირითადად ფრაგმენტული და მწირია, ზოგჯერ კი - მცდარი. კვლევამ აჩვენა, რომ ის ცოდნა, რომელსაც მოსწავლეები ფლობენ, გაცილებით მცირეა (ზოგჯერ - არ არსებობს) მენსტრუაციის დაწყებამდე, ან მის საწყის ეტაპზე და გამოცდილებასთან ერთად იზრდება. შედეგებმა ასევე ცხადყო, რომ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს უჭირთ მენსტრუაციასთან დაკავშირებული პათოლოგიური და ფიზიოლოგიური მოვლენების დიფერენცირება და იმ საყურადღებო ნიშნების ამოცნობა, რომელთა დროსაც, შესაძლოა, ექიმის ჩარევა გახდეს საჭირო.

მენსტრუაციის ფიზიოლოგიის მსგავსად, მცირე და არასტრუქტურულია მოსწავლეების ცოდნა მენსტრუაციის ჰიგიენის შესახებ. მენსტრუაციის ჰიგიენური პროდუქტების და მენსტრუაციული ჰიგიენის მართვის შესახებ მითებით დატვირთული და ფრაგმენტული ინფორმაცია, სავარაუდოა, რომ გოგოების მიერ მენსტრუაციის ჰიგიენის მართვის პრაქტიკებზეც უარყოფითად აისახება.

მენსტრუაციის შესახებ ინფორმაციაზე წვდომა მნიშვნელოვანი პრობლემაა მოზარდი გოგოების ცხოვრებაში, რომელზეც ღიად საუბრობენ და ამბობენ, რომ ხშირად აქვთ პასუხგაუცემელი შეკითხვები, ან პასუხები, რომელთა სანდოობის შემოწმებაც არ შეუძლიათ. აღნიშნავენ, რომ მშობლებსა და მასწავლებლებს თავად არ აქვთ სათანადო ცოდნა, ხოლო ინტერნეტში ქართულ ენაზე მენსტრუაციასთან დაკავშირებული ინფორმაცია მეტად მწირია და ხშირად - არასწორი. ამით, კვლევამ დაადასტურა, რომ საზოგადოებაში გავრცელებული აზრი, მოსწავლეებისთვის ინტერნეტიდან ინფორმაციის მიღების ბარიერის არარსებობაზე, მცდარია და სიმართლეს არ შეესაბამება.

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ მენსტრუაციასთან დაკავშირებული ცოდნა ნაკლებად ვრცელდება არამხოლოდ სასკოლო სივრცეში, არამედ არაფორმალურ გარემოშიც (სხვა საკითხებთან შედარებით, ნაკლები ტრენინგი ტარდება ამ მიმართულებით). საბოლოოდ, კვლევამ აჩვენა, რომ არსებობს ინფორმაციაზე წვდომის სოციალურ-კულტურული და პოლიტიკური ბარიერები.

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ ინფორმაციის ნაკლებობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოზარდი გოგოების ყოველდღიურ ცხოვრებაზე, განაპირობებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ წუხილს, ზოგჯერ კი უარყოფითად მოქმედებს გოგოების სკოლაში მოსწრებაზე, თვითშეფასებასა და სოციალიზაციაზე. მათ მიაჩნიათ, რომ სკოლა ამ საკითხებზე მოსწავლეების ინფორმირების თვალსაზრისით, მნიშვნელოვან როლს უნდა თამაშობდეს, რომელშიც მშობლებიც აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი. როგორც მასწავლებლები, ისე მოსწავლეები, ამბობენ, რომ აუცილებელია მასწავლებლების ცოდნისა და უნარების გაუმჯობესება იმისთვის, რათა ხელი შეუწყონ მენსტრუაციასთან დაკავშირებული ცოდნის გავრცელებას.

კვლევამ გამოავლინა რამდენიმე ფაქტორი, რომელიც მენსტრუაციის ჰიგიენურ პროდუქტებზე გოგოების წვდომის ბარიერია. ესენია: ინფორმაციული, სოციალურ-კულტურული და ფინანსური ხელმისაწვდომობის პრობლემა; სოფლად მცხოვრები გოგოებისთვის დამატებით გამოიკვეთა გეოგრაფიული და ფიზიკური ბარიერების არსებობა.

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ სკოლაში არსებული სველი წერტილების მოწყობა და გარკვეულწილად - სკოლის შინაგანაწესი, უარყოფითად აისახება გოგოების მიერ მენსტრუაციის ჰიგიენის მართვის პროცესებზე. ეს უკანასკნელი კი, ზოგ შემთხვევაში, მათ დარცხვენას, იზოლაციასა და სასკოლო აქტივობების გაცდენასაც იწვევს. ამ თვალსაზრისით, კვლევამ რამდენიმე ძირითადი ფაქტორი გამოკვეთა. პირველ რიგში, ეს არის სკოლების დიდ ნაწილში სველი წერტილების არასათანადო მოწყობა - დაუცველია სანიტარული ნორმები, ასევე არ იძლევა მენსტრუაციული

ჰიგიენის მართვის პრაქტიკების პრივატულ გარემოში განხორციელების შესაძლებლობას.

კვლევამ აჩვენა, რომ სკოლების საკმაოდ დიდ ნაწილში, მასწავლებლები უარს ამბობენ საგაკვეთილო პროცესიდან მოსწავლეების დროებით დათხოვნაზე, მათ შორის, ტუალეტებით სარგებლობის საჭიროების შემთხვევაშიც. ასევე, რომ ეს ფაქტი გოგოების საკმაოდ დიდი ნაწილისთვის მნიშვნელოვანი პრობლემაა მენსტრუაციის პერიოდში და მათ სკოლის გაცდენისკენ უბიძგებს.

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, სკოლების არც ისე მცირე ნაწილში, გოგოებისთვის უფასოდ ხელმისაწვდომია მენსტრუაციის ჰიგიენური პროდუქტები (პაკეტი), რაც მიუხედავად გარკვეული ტიპის ბარიერების არსებობისა, კომფორტული და საჭირო რესურსია სკოლის მოსწავლე გოგოებისთვის.

რეკომენდაციები

მენსტრუაციასთან დაკავშირებულ სტიგმასთან მიმართებით:

1. გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები, სკოლის მასწავლებლებისა და ზოგადად, სკოლაში მომუშავე პერსონალის (ადმინისტრაციის ჩათვლით) მგრძობელობის ასამაღლებლად, მენსტრუაციასთან დაკავშირებულ სტიგმასთან მიმართებით;
2. სასკოლო სახელმძღვანელოების რეცენზირების პროცესში გათვალისწინებულ იქნას მათში მენსტრუაციასთან დაკავშირებული სოციალურ-კულტურული საკითხები, რათა მოსწავლეებში ამადლდეს ცნობიერება მენსტრუაციული სტიგმის საზიანო გავლენების შესახებ;
3. მასწავლებლებისა და სკოლების დირექტორების საკვალიფიკაციო საგამოცდო მასალებში (როგორც წასაკითხ მასალაში, ასევე, ტესტებში) ინტეგრირებულ იქნას მენსტრუაციასთან და აღნიშნულის სტიგმასთან დაკავშირებული საკითხები;
4. მოხდეს როგორც სკოლის მასწავლებლების, ისე, სკოლის მთელი პერსონალის ცნობიერების ამაღლება იმის შესახებ, რომ საგაკვეთილო პროცესში მოსწავლისთვის საპირფარეშოში გასვლაზე უარის თქმა ბავშვის უფლების ხელყოფაა, ლახავს ბავშვის ღირსებას და არ გააჩნია საფუძველი საქართველოს კანონმდებლობაში.

ინფორმირების მიზნით:

1. რეკომენდებულია სკოლის ბიოლოგიის სახელმძღვანელოში მენსტრუაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადახედვა, კორექტირება და გამდიდრება, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებისთვის სრულყოფილი

ინფორმაციის მიწოდებას. გარდა ამისა, რეკომენდებულია სკოლის სახელმძღვანელოებში მენსტრუაციის ჰიგიენის მართვის შესახებ ინფორმაციის შეტანა და საგაკვეთილო პროცესში ამ საკითხების ინტეგრირება (მაგალითად, ისე, როგორც პირადი ჰიგიენის საკითხებს გადიან მე-3 კლასელი მოსწავლეები საგანში, „მე და საზოგადოება“);

2. რეკომენდებულია ეროვნული სასწავლო გეგმის შედგენისას, მენსტრუაციული ციკლის დაწყების საშუალო ასაკის გათვალისწინება და ინფორმაციის იმ კლასებში მიწოდება, რომელშიც სკოლის მოსწავლე გოგოების უმრავლესობას მენსტრუაციული ციკლი ჯერ არ დასწყება;
3. რეკომენდებულია ეროვნული სასწავლო გეგმისა და სახელმძღვანელოების ნებისმიერი ტიპის ცვლილება ითვალისწინებდეს ადგილობრივ კონტექსტს, ასევე ეფუძნებოდეს მტკიცებულებებსა და სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ყოვლისმომცველი განათლების მიმართულებით არსებულ საერთაშორისო გამოცდილებას;
4. რეკომენდებულია მასწავლებლების ცოდნის, დამოკიდებულებებისა და უნარების გაძლიერება იმისთვის, რათა მარტივად შეძლონ მოსწავლეებისთვის მენსტრუაციასთან და მის მართვასთან დაკავშირებული ინფორმაციის სრულყოფილად გადაცემა;
5. რეკომენდებულია მოზარდებისთვის მენსტრუაციასთან დაკავშირებული საყურადღებო ნიშნების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, რომელშიც სკოლასთან და მშობლებთან ერთად, აქტიურად იქნებიან ჩართულნი ჯანდაცვის პროფესიონალები. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია მოზარდებსა და ახალგაზრდებზე მორგებული ჯანდაცვის სერვისების განვითარება და მათი გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
6. მენსტრუაციასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მოზარდების ინფორმირებულობის გასაღრმავებლად, ფორმალურ განათლებასთან ერთად, რეკომენდებულია გაიზარდოს არაფორმალური განათლების როლიც;
7. რეკომენდებულია, როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების სივრცეებში მშობლების აქტიური ჩართულობის წახალისება, რადგან გაიზარდოს მათი, როგორც მხარდამჭერის და მოზარდებისთვის მენსტრუაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიმწოდებლის როლი.

მენსტრუაციული ჰიგიენის მართვის გასაუმჯობესებლად:

მენსტრუაციული ჰიგიენის მართვის გასაუმჯობესებლად, მოსწავლეებისთვის მტკიცებულებებზე დაფუძნებული და სტიგმისგან თავისუფალი ინფორმაციის

მიწოდების გარდა, რეკომენდებულია კვლევის შედეგად გამოვლენილი იმ ბარიერების აღმოფხვრა, რომლებიც გოგოების მიერ მენსტრუაციული ჰიგიენის მართვის შესაძლებლობის კუთხით არსებობს. კერძოდ:

1. მენსტრუაციული ჰიგიენის პროდუქტებზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია, საჭიროებების გენდერულ ჭრილში განხილვა და სხვადასხვა სოციალური პროგრამისა თუ პოლიტიკის შემუშავების პროცესში ამ ბარიერის გათვალისწინება და დაკმაყოფილება.;
2. მენსტრუაციული ჰიგიენური პროდუქტების ფიზიკური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია, რომ შესაბამისმა სახელმწიფო, თუ კერძო სექტორის წარმომადგენლებმა მენსტრუაციული ჰიგიენური პროდუქტები გაიაზრონ და აღიარონ როგორც აუცილებელი ჰიგიენური საშუალებები და გაითვალისწინონ მომარაგების ჯაჭვის დაგეგმვის პროფესში;
3. რეკომენდებულია სკოლის სველი წერტილების ინფრასტრუქტურის მოწყობა და ისე განვითარება, რომელიც დააკმაყოფილებს მენსტრუაციის ჰიგიენის მართვის მოთხოვნებს და გოგოებს აღნიშნული პრაქტიკის ჯანმრთელობის უფლებისა და მათი ღირსების დაცვით განხორციელების საშუალებას მისცემს;
4. რეკომენდებულია სკოლის წესების და შინაგანაწესების, ასევე, პირველადი სამედიცინო ჩანთის პროდუქტებისა და ინვენტარის შედგენისას გათვალისწინებული და დაკმაყოფილებული იყოს, როგორც მასწავლებლების, ისე მოსწავლეების საჭიროებები გენდერული მახასიათებლების გათვალისწინებით.

ბიბლიოგრაფია

- Aniebue, Uzochukwu Uzoma, Patricia Nonyelum Anie, and Theophilus Ogochukwu Nwankwo. 2009. "The impact of pre-menarcheal training on menstrual practices and hygiene of Nigerian school girls." *Pan African Medical Journal*, June 29.
- Byrd, JR, PG McDonough, and RH Reindollar. 1981. "Delayed sexual development: a study of 252 patients." *American Journal of Obstetrics and Gynecology*, June 15.
- Chandra-Mouli, Venkatraman, and Sheila Vipul Patel. 2017. "Mapping the knowledge and understanding of menarche, menstrual hygiene and menstrual health among adolescent girls in low- and middle-income countries." *Reproductive Health*.
- Flug, D, R H Largo, and A Prader. 2009. "Menstrual patterns in adolescent Swiss girls: a longitudinal study." *Annals of Human Biology*, July 09: 495-508.
- FM, Biro, B Huang, PB Crawford, AW Lucky, and R StriegelMoore. 2006. "Pubertal correlates in black and white girls." *The Journal of Pediatrics*, February 2: 234-240.
- Hennegan, Julie, Catherine Dolan, Wu Maryalice, Linda Scott, and Paul Montgomery. 2016. "Measuring the prevalence and impact of poor menstrual hygiene management: A quantitative survey of schoolgirls in rural Uganda." *BMJ Open*, December.
- Hickey, Martha, and Adam Balen. 2003. "Menstrual disorders in adolescence: investigation and management." *Human Reproduction Update*, September 05: 493–504.
- Ingrid Johnston-Rodledo, Joan C. Chrisler, 2020 „The Menstrual Mark, Menstruation as Social Stigma“, *The Palgrave Handbook of Critical Menstruation Studies*, pp 181-199.
- The American College of Obstetrics and Gynecologists. 2015. "Menstruation in Girls and Adolescents: Using the Menstrual Cycle as a Vital Sign." December. Accessed December 11, 2020.
- <https://www.acog.org/-/media/project/acog/acogorg/clinical/files/committee-opinion/articles/2015/12/menstruation-in-girls-and-adolescents-using-the-menstrual-cycle-as-a-vital-sign.pdf>.
- UNESCO. 2014. "Puberty education and menstrual hygiene management." Paris.
- WaterAid. 2012. "Menstrual Hygiene Matters: A resource for improving menstrual hygiene around the world."
- WHO and UNICEF. 2013. "Progress on sanitation and drinking water." Geneva.
- WHO. 1986. "World Health Organization multicenter study on menstrual and ovulatory patterns in adolescent girls. II. Longitudinal study of menstrual patterns in the early postmenarcheal period, duration of bleeding episodes and menstrual cycles." *J Adolesc Health Care*, July 7.

Human Rights Watch Submission to the CEDAW Committee on Nepal's Periodic Report for the 71st Session; October 2018;
Report on the right to education submitted by Vernor Muñoz, Special Rapporteur on the right to education; Doc A/65/162; 23.07.2010.

Convention on Elimination of All forms of Discrimination against Women (CEDAW);

CESCR General Comment No. 14: The Right to the Highest Attainable Standard of Health (Art. 12)

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, „წყალსა და სანიტარიაზე უფლების ხელმისაწვდომობა საქართველოს საჯარო სკოლებში“, სპეციალური ანგარიში, 2018.

დეკემბერი 2020
